საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 22 მარტი. 2018 წ. №58 (8459), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

საპატრიარქო:

ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ ძალადობას!

საპატრიარქო „რუსთავი-2“-ის ეთერში წამყვან გიორგი გაბუნიას მიერ გაკეთებულ კომენტართან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„სამწუხაროდ, ბოლო დროს კიდევ უფრო გაძლიერდა მორწმუნე საზოგადოების გრძნობების შეურაცხყოფისა და ღვთის გმობის გამოვლინებები. სახეზეა არაერთი შემთხვევა, თუმცა კომპანია „აიისას“ და მისი დირექტორის უზნეო თავგასულობა და „რუსთავი-2“-ის ა.წ. 18 მარტის სიუჟეტი თავისი უტიფრობით სარკაზმითა და ცინიზმით საზოგადოებისთვის ღია გამოწვევად იქცა.

ამას შედეგად მოჰყვა ცალკეული მოქალაქეების, „ქართული მარშის“ და ზოგიერთი სასულიერო პირის მკვეთრი გამოხმაურება.

ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ ძალადობრივ ქმედებებს. ამასთან, მკვეთრ გამოხმაურებას ვითხოვთ ხელისუფლებისაგან, რომ მორწმუნეთ (იქნება ეს ქრისტიანი, მუსლიმი, იუდეველი თუ სხვა) უსამართლობისა და დაუცველობის განცდა მოეხსნათ.

„მთავარი არხის“ მთავარი შან-ტაჟისტი ②



ერისა და ბერის ქალის-ხმევით ⑩

ღირსების პროექტი

ქურნალისტის უკვდავება

პრეზიდენტმა ჟურნალისტი ალექსანდრე ბერულავა სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი პირადი მამაცობის, გმირობისა და თავდადებისათვის ჟურნალისტი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრესსამსახურის უფროსი ალექსანდრე ბერულავა, სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

„დღეს ჟურნალისტის დღეა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ჩვენ განსაკუთრებით აღვნიშნავთ, ამ პროფესიის წარმომადგენლებს განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით იმ სიმამაცისთვის, რომელსაც ისინი, როგორც საომარი მდგომარეობის დროს, ასევე, მშვიდობიან პერიოდში იჩენენ თავისი ძალიან მნიშვნელოვანი საქმიანობის განსახორციელებლად.

ჩვენ ამ დღეს აღვნიშნავთ იმ ადამიანის განსაკუთრებული აღიარებით, რომელმაც თავი სამშობლოსა და სამშობლოსათვის ბრძოლას შესწირა. ბატონი ალექსანდრე ბერულავა, ისევე როგორც გაბესკირია, ისევე როგორც ანწუხელიძე, არიან ადამიანები, რომლებიც ვერ გატეხა მტერმა“.

ალექსანდრე ბერულავა აფხაზეთში ქართული ტელევიზიის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ომის დაწყებისას, 1992 წლის 14 აგვისტოს, ქალაქის ცენტრში იგი ახალგაზრდა აფხაზმა ბოევიკებმა დაატყვევეს. გუდაუთაში სეპარატისტების ბაზაზე ხანგრძლივი წამების შემდეგ მისი განთავისუფლება მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევით მოხერხდა. ომის განმავლობაში ალექსანდრე ბერულავას სოხუმი არ დაუტოვებია. იგი იყო აფხაზეთის ტელევიზიის ხელმძღვანელი, სამხედრო პრესცენტრისა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელი.

* * *

გუშინ საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში ტრადიციულად აღინიშნა ყველა თაობის ქართველ ჟურნალისტთა პროფესიული დღესასწაული.

პრესის, ტელევიზიისა და რადიოს 25 რჩეულ ჟურნალისტს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება. მათ შორის არიან ჩვენი გაზეთის სპორტის განყოფილების რედაქტორი **გია პლატონიშვილი** და ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი, ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი **დავით ასკურავა**.

გილოცავთ, კოლეგებო!

ნაწამები შვილი ოჯახს დაუბრუნდა

არჩილ ტატუნაშვილის ოჯახი აცხადებს, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ცხედარს მარჯვენა ხელზე თითი მოკვეთილი აქვს, სიმართლეს არ შეესაბამება. მათი თქმით, გადმოსვენების პროცესში თითი მოკეცილი იყო, რამაც გაუგებრობა გამოიწვია. თუმცა მოკლული სამხედროს ოჯახი სხვა დაზიანებებზე საუბრობს, რომელიც ცხედარს აღენიშნება. მათი თქმით, დაზიანებულია მარჯვენა ხელის მტევანი, რომელზეც მოტეხილობები აღინიშნება. ტატუნაშვილს დაზიანებები აღენიშნება ცხვირის მიდამოშიც.

სოფელ წილკანში საპატიო ყარაული ჩავიდა. ისინი არჩილ ტატუნაშვილის დაკრძალვამდე მის სახლთან დადგებიან. არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი ოკუპირებული ტერიტორიიდან სამშაბათს გადმოასვენეს. ცხედარი ჯერ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზაზე გადაასვენეს, შემდეგ კი ოჯახს დაუბრუნეს.

ცხინვალის ციხეში მოკლულ არჩილ ტატუნაშვილს შაბათს ქანდაში სამხედრო პატივით დაკრძალავენ.

„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია“

საქართველოს პარლამენტმა არჩილ ტატუნაშვილთან დაკავშირებით მომზადებული რეზოლუციის პროექტი 106 ხმით დაამტკიცა. კენჭისყრაში მონაწილეობისგან „პატრიოტთა ალიანსმა“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავი შეიკავა.

„ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ ერთობლივად მომზადებული დოკუმენტით, საქართველოს მთავრობამ პარლამენტს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეთა მკვლელობაში, გატაცებაში, წამებაში, არაჰუმანურ მოპყრობასა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, ასევე ამ დანაშაულთა დაფარვაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა სია – „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია“ 2018 წლის 15 ივნისამდე უნდა წარუდგინოს. **რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ დასახელებულ პირთა მიმართ ყველა შესაძლო შეზღუდვის, მათ შორის სავიზო, ქონებრივი და ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების დასაწესებლად და სამართლის აღსრულების ხელშესაწყობად.** ამასთან, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ დადგენილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყება უნდა განსაზღვროს, რომელიც პარლამენტს დადგენილების აღსრულების მდგომარეობის შესახებ რეგულარულ ანგარიშს წარუდგენს.

იან კელი კარასინის განცხადებაზე

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფალთა ქცევა არ იძლევა ნდობის საფუძველს, – აცხადებს აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი. დიპლომატმა კომენტარი გააკეთა ჟენევის მოლაპარაკებათა რაუნდსა და კარასინის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე.

„ვფიქრობ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ რაიმე დაპირებაზე, აუცილებელია, არსებობდეს ნდობა. სამწუხაროდ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფალთა ქცევა არ იძლევა ნდობის საფუძველს. ის, რაც მათ გააკეთეს ტატუნაშვილის ცხედართან დაკავშირებით, რომ კვირების განმავლობაში არ დაუბრუნეს ცხედარი ოჯახს, ნამდვილად ეს იყო საშინელი ფაქტი და ასეთი ქმედება არ უწყობს ხელს ნდობის განმტკიცებას, ნდობის არსებობას და კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრას. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს იმედი, რომ იქნება პროგრესი ჟენევის მოლაპარაკებებზე, თუმცა ასეთი საშინელი ქმედებები კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრას ხელს არ უწყობს“, – განაცხადა იან კელიმ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი იმედოვნებს, რომ ჟენევის დისკუსიების მორიგ შეხვედრაზე ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმება მიიღწევა.

მუსლიმებს ნოვრუზ ბაირამი მიულოცეს

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი:

ჩემო ძმებო, ჩემო აზერბაიჯანელებო, გილოცავთ ნოვრუზ ბაირამს! ამ ლამაზ დღესასწაულს — ახალი წლის დადგომის, გაზაფხულის, განახლების, სიცოცხლისა და სიყვარულის დღეს! ვუერთდები თქვენს ზეიმს, მთელი გულით ვიზიარებ თქვენს სიხარულს. ჩვენ ერთი ქვეყნის შვილები ვართ. ჩვენი წინაპრები ერთად ცხოვრობდნენ, ერთმანეთის მხარდამხარ შრომობდნენ, ემსახურებოდნენ საქართველოს, ყოველთვის იზიარებდნენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს. ასე ვართ ჩვენც და ამ ტრადიციას ჩვენი შვილები გააგრძელებენ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ქვეყანაში იყოს ყველანაირი პირობა ჩვენი მოქალაქეების, თითოეული თქვენგანის შესაძლებლობების რეალიზაციისთვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კიდევ უფრო მეტი ჩართულობისთვის.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი:

გილოცავთ ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულს, გაზაფხულის, ახლის დაბადების, იმედისა და სიყვარულის ზეიმს.

ჩვენ — საქართველოს მოქალაქეები ერთად ვქმნით იმ დოვლათს, რომელიც ასაზრდოებს ჩვენს ქვეყანას: შრომა და შრომისმოყვარეობა — ეს სწორედ ის სიმდიდრეა, რომელიც აზერბაიჯანელ ხალხს ამშვენებს და სამაგალითოა სხვა ერებისათვის. შეგიძლიათ, თამამად იამაყოთ ჩვენი საერთო სახელმწიფოს მშენებლობაში თქვენი შრომითა და გარჯით შეტანილი უდიდესი წვლილით.

თბილისის მერი კახა კალაძე:

„მინდა, ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მივულოცო ჩვენს მუსლიმ ძმებს, ჩვენს თანაქალაქელებს. თბილისი სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის წარმომადგენლების ერთიანი თანაცხოვრების მართლაც საუკეთესო მაგალითია. ჩვენ ჭირშიც, ლხინშიც, საუკუნეებია, ერთად მოვდივართ. კიდევ ერთხელ მინდა, მივულოცო დღევანდელი დღესასწაული — ახალი წლის, გაზაფხულის შემობრძანება ჩვენს მუსლიმ ძმებს და მშვიდობა და კეთილდღეობა ვუსურვო“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ღონისძიებაზე დედაქალაქის მერს საჩუქრად ქართულად ნათარგმნი „ნიზამი“ და აზერბაიჯანულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ გადასცეს.

ჟენევის მოლაპარაკებებში შედეგების მიღწევა რთულია...

ჟენევის მოლაპარაკებებში შედეგების მიღწევა რთულია, რადგან რუსეთის მხრიდან გადაწყვეტილების მიმღები პირების მონაწილეობა დაბალია — განუცხადა ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა კარასინის განცხადებაზე კომენტირებისას.

„როგორც იცით, ჟენევის მოლაპარაკებებში ხელშესახები შედეგების მიღწევა ძალიან რთულია იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან გადაწყვეტილების მიმღები პირების მონაწილეობა ნულოვანი ან ძალზედ დაბალია, ასევე რუსეთი დღემდე იმ შეთანხმებას არ ასრულებს, რომელიც აღებული აქვს 2008 წელს. თუ ჟენევის ფორმატში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ჩართულობით რაიმე საუბარი შედგება, პირველ რიგში, ეს შეეხება იმას, რომ რუსეთმა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები შეასრულოს. ბუნებრივია, ჟენევის ფორმატი შენარჩუნებული იქნება, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო მექანიზმია და ჩვენი მოლოდინი და მცდელობა, რომ ჟენევის ფორმატში უფრო მეტი და მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა მოხდეს, სახელმწიფოს ინტერესებშია,“ — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ქართულ-ბელარუსული ერთობლივი საწარმო დაფუძნდება

პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ბელარუსის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს მიხაელ რუსის შეხვდა.

ერთობლივ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის მედიცინისა და ფარმაკოლოგიის კუთხით თანამშრომლობაზე. კერძოდ, საუბარია კოოპერაციაზე ტრანსპლანტოლოგიის სფეროში, აგრეთვე მედიკამენტების მწარმოებელი ერთობლივი საწარმოების დაფუძნებაზე.

შეხვედრის დასასრულ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის საქმიანი წრეების დაახლოებას ერთობლივი ბიზნესპროექტების განვითარებისა და, ზოგადად, ორი ქვეყნის ეკონომიკური კავშირების გაღრმავების მიმართულებით.

მინსკში სპეციალური ქართული მაღაზია გაიხსნება

ბელარუსის დედაქალაქ მინსკში სპეციალური მაღაზია გაიხსნება, სადაც მხოლოდ საქართველოში წარმოებული პროდუქცია გაიყიდება.

ამის შესახებ ცნობილი გახდა პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილისა და ბელარუსის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე მიხაილ რუსის შეხვედრისას. ბელარუსული მხარის ინფორმაციით, მინსკში 1200 კვ.მ. ფართობზე განთავსდება სავაჭრო ცენტრი, სადაც ქართული ღვინო, მინერალური წყლები, აგროსამრეწველო და სხვა სასურსათო პროდუქცია გაიყიდება.

მთავრობამ ეკომიგრანტ 53 ოჯახს სახლი შეუსყიდა

ეკომიგრანტი ოჯახები სახლებს 25 000 ლარის ფარგლებში თავისი სურვილის მიხედვით არჩევენ. საქართველოს მთავრობაში განმარტავენ, რომ კერძო სახლების უმეტეს ნაწილს ახლავს მიწის ნაკვეთები, რაც მათთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

სახელმწიფომ 2013 წლიდან დღემდე საცხოვრებელი სახლი 1000-ზე მეტ ეკომიგრანტ ოჯახს გადასცა.

2018 წელს აჭარის მთავრობასთან ერთად, იგეგმება კიდევ 445 ოჯახის განსახლება.

„სითი პარკი“ თარიღის გადავადებას ითხოვს

კომპანია „სითი პარკის“ ადვოკატებმა თბილისის მერს კახა კალაძეს სასამართლო დავის დასრულებამდე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღის გადავადების მოთხოვნით მიმართეს. მათი თქმით, ხელშეკრულების შეწყვეტისას შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პროცედურები დაცული არ ყოფილა.

„დღეს შევიტანეთ განცხადება თბილისის მერიაში შპს „სითი პარკის“ სახელით და მერს ვთავაზობთ, რომ გადაავადოს „სითი პარკთან“ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი სასამართლო დავების დასრულებამდე. მერიისთვის ცნობილია, რომ ჩვენ გასაჩივრებული გვაქვს ყველა განკარგულება, რომლითაც გაფრთხილება მიეცა „სითი პარკს“, თითქოსდა ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო. ყველა ეს სარჩელი ჯერ კიდევ სასამართლოშია, არ დასრულებულა და იმისათვის, რომ „სითი პარკს“ მიეცეს თავის უფლებებზე სამართლებრივი დაცვის საშუალება, სასამართლო დავები უნდა ამოიწუროს და ამის შემდეგ შეიძლება მხოლოდ ადმინისტრაციული დავების შესრულების ჯეროვნებაზე ან კეთილსინდისიერ შესრულებაზე საუბარი.

◎ დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს

„მთავარი პრესის“ მთავარი შანტაჟისტი

საქართველოს საპატრიარქომ მიმდინარე წლის 14 მარტს გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო: „იგეგმება დისკრედიტაციის ახალი ტალღის აგორება და არ არის გამორიცხული, რომ ბინძური კამპანიის წარმოება განხორციელდეს უმაღლესი იერარქის მიმართაც და ამაში სასულიერო პირებიც იძნან გამოყენებული“.

მეორე დღეს მის უწმინდესობასთან შეხვედრა ითხოვა სამაუწყებლო კომპანია **„რუსთავი-2“**-ის გენერალურმა დირექტორმა **ნიკა გვარამიამ**, შეთავსებით დეკანოზ **გიორგი მამალაძის ახალგამოჩენილმა „მოხალისე ვექილმა“**. ორი დღით ადრე იგი თავისივე ტელეკომპანიის ეთერიდან საზოგადოებას „აღშფოთებული და განცვიფრებული“ ამცნობდა ერთი წლის წინათ დაკავებული და უკვე მსჯავრდებული დეკანოზის შესახებ, ვითომდაც, „მის მიერ ახლადაღმოჩენილ“, მაგრამ, სინამდვილეში, ყველასთვის ცნობილ, მრავალგზის საჯაროდ გაჟღერებულ ინფორმაციას.

ემოციურად მოგვაწოდა რა მისი და დეკანოზის შეხვედრის პერიპეტიები, გვარამიამ პარალელურად სკ „რუსთავი-2“-ის კარი ფართოდ გაუღო საქართველოს საპატრიარქოს და, შესაბამისად, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისთვის მრავალგზის გამოყენებულ „პოლიტიკურ“ თუ „სამოქალაქო“ სივრცის „ვარსკვლავებს“. სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი, „რუსთავი-2“ ამ ბინძურ კამპანიაში მარტო არ იყო — მას სხვა მედიასაშუალებებმაც აუბეს მხარი.

გვარამიას სიმართლისთვის ბრძოლა, დეკანოზ მამალაძის უფლებების დაცვა და პატრიარქის მიმართ კეთილგანწყობის გამოხატვა რომ სდომოდა, საკმაო დრო ჰქონდა. მთელი წლის განმავლობაში „რუსთავი-2“-ის ეთერით სკანდალური ანტიეკლესიური რეპორტაჟების ნაცვლად, შეეძლო შეეთავაზებინა საპატრიარქოსთვის ერთობლივი ბრძოლა სიმართლის დასადგენად, ჯანსაღი და მიუკერძოებელი დიალოგის გამართვა.

ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა დახურულ სასამართლო პროცესზე მოსახლეობის სწორ ინფორმირებას, სასულიერო პირებისა და მრევლის ჩართვას ღია დისკუსიაში, მედიის მიმართ ნდობის ხარისხის ზრდასა და საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევას, რაც, თავის მხრივ, ამაღლებს ეკლესიაში თუ მის გარეთ არსებული პრობლემების მოგვარების შესაძლებლობას.

მეორე მხრივ, გაირკვეოდა მტყუან-მართალი, გაიოლდებოდა უდანაშაულო ადამიანის დაცვა და საზოგადოება ერთიანი ძალისხმევით მოსთხოვდა პასუხს დამნაშავეს, რა რანგისა თუ მდგომარეობისაც არ უნდა იყოს ის!

იხ. 8 გვ.

„არაფერი არ შეიცვლება – ჩვენ დავკარგეთ ჩვენი მოქალაქე, რომელიც გულის შეტევით არ მომკვდარა – ის აწამეს“

26-დღიანი ლოდინის შემდეგ, საოკუპაციო რეჟიმმა ქართულ მხარეს არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი გადასცა. ცხედართან ერთად მოხდა გარკვეული მასალების გადმოცემაც, მათ შორის ექსპერტიზის მასალების. ამ მასალების შესწავლა შემდგომი გამოძიების თემაა. ცხედრის გადმოცემა უშუალოდ „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ ჩართულობით მოხდა.

არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს, სადაც ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპერტიზის ბიუროს შენობაში იმყოფებოდნენ გარდაცვლილის მამა, ახლობლები, სასულიერო პირები და ხელისუფლების წარმომადგენლები.

ცხედრის გადმოცემისას მოლაპარაკების პროცესში ჩართული იყო „წითელი ჯვარი“, ასევე, საქართველოს საპატრიარქო და უშუალოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელმაც დახმარება რუსეთის პატრიარქს სთხოვა.

ჯერჯერობით უცნობია ექსპერტიზის საბოლოო პასუხი, თუმცა ის რადიკალურად განსხვავდება იმ ვერსიისგან, რასაც დე ფაქტო ხელისუფლება ავრცელებდა. არსებული ინფორმაციით, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო გულის შეტევის ფაქტს გამორიცხავს, რადგან ზედაპირული

დათვალიერებით ცხედარს ძალადობის კვალი ეტყობა.

სააგენტო „რესიის“ ინფორმაციით, **„გაქცევის მცდელობისას, სამართალდამცველებმა ტატუნაშვილის წინააღმდეგ ფიზიკური ძალა გამოიყენეს, რის შედეგადაც ის კიბეზე დაგორდა. მოგვიანებით იგი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს... არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გაკვეთამ აჩვენა, რომ სიკვდილის მიზეზი გულის მკვეთრი უკმარისობაა“.**

სეპარატისტების მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას არ ენდობა ქართული მხარე. დევნილთა და განსახლების მინისტრ სოზარ სუბარს ეეჭვება, რომ ცხინვალში ჩატარებული ფსევდოგამოძიება რეალობასთან ახლოს იყოს.

„დარწმუნებული ვარ, რომ ქართული გამოძიება სიმართლის დადგენას შეძლებს... გარდაცვალების მიზეზებზე ჯერჯერობით ცხადია, ვერაფერს ვილაპარაკებთ, თუმცა, პირველივე ინფორმაციისთანვე, რაც ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ გაავრცელა, ჩანდა, რომ ადგილი ჰქონდა ძალადობას არჩილ ტატუნაშვილის მიმართ“, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

ქართული მხარე ახლა ექსპერტიზის მოლოდინშია. თუმცა, ანალიტიკოსი **ზურაბ აგლაძე** ფიქრობს, რომ ტატუნაშვილის მკვლელობის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ქართული მხარისთვის არაფერი არ იცვლება, გარდა იმისა, რომ ოფიციალური თბილისი ფაქტს დაადასტურებს და საერთაშორისო საზოგადოებას წარუდგენს ყველა მასალას, რომლითაც დასტურდება წამების კვალი.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ფიქრობს, რომ მკვლელობის დადასტურების შემთხვევაში ქართულ მხარეს მიეცემა ბრალდების წაყენების უფლება. მაგრამ რა იცვლება იმით, თუკი ქართული მხარე ასეთ ბრალდებას წარადგენს, პოლიტოლოგის შეფასებით, ეს უკვე სხვა საკითხია.

„დღეს ყველა ვართ მოწმე იმისა, რომ მკვლელობაში სდებენ ბრალს რუსეთს და რუსეთი ამას არაფრად აგდებს. ამიტომ, თქმა იმისა, რომ თუ საქართველო ამ პრეტენზიას წარადგენს, მას აუცილებლად შედეგი მოჰყვება, ძნელია. მაგრამ ქართული პოლიტიკისთვის სამომავლოდ მნიშვნელოვანია რუსეთისთვის ამ ბრალდების წაყენება.

გარდა იმისა, რომ ტატუნაშვილის მკვლელობა ტრაგიკული იყო, ის გარკვეული თვალსაზრისით პოლიტიკურად იყო საინტერესო და რატომ – ეს იყო ფაქტიურად ტექსტი იმისა, რომ რუსეთი საქართველოს მიმართულებით გააგრძელებს სიტუაციის გართულებას თუ არა. გარკვეულ ეტაპზე გამოვლინდა, რომ რუსეთს საქართველს მიმართულებით სიტუაციის გართულება არ უნდოდა. ეს გამოვლინდა იმაში, რომ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემა კი დააგვიანა, მაგრამ მეორე მხრივ სწრაფად გაანთავისუფლა ის ახალგაზრდები, რომლებიც ტატუნაშვილთან ერთად დააკავეს, ეს რეაქცია უკვე ნიშნავდა იმას, რომ რუსეთი ცდილობდა, დამატებითი პრობლემები არ შეექმნა. ის, რომ ტატუნაშვილის ცხედარი დაბრუნებულია, ეს დადასტურებაა იმისა, რომ რუსეთი ცდილობს, ეს თემა მისთვის მტკივნეული არ იყოს“, – ამბობს რამაზ საყვარელიძე.

თამთა ქარჩავა

პოლიტიკური პარტიები უმკაცრესად დასჯას ითხოვენ

10 პოლიტიკური პარტია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებს.

განცხადებით პოლიტიკური პარტიები ხელისუფლებას მოუწოდებენ, მოახდინოს უმკაცრესი რეაგირება ჟურნალისტებზე თავდისხმის გამო და დამნაშავეები და კანონის სრული დაცვით დაისაჯონ.

„ჩვენ, განცხადებაზე ხელის მომწერი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ვეხმიანებით ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებზე ე.წ. „ქართული მარშის“ წევრებისა და სხვადასხვა რელიგიური ექსტრემისტების მხრიდან(მათ შორის მართმადიდებელ მშობელთა კავშირი) 19 მარტს განხორციელებულ თავდასხმას და კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, აგრეთვე ჟურნალისტთა დაშინება და მათთვის საქმიანობაში ხელის შეშლა.

რეალურად რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან პირდაპირ თუ ირიბად მართული „რუსული მარშის“ წარმომადგენლები ამ ქმედებებით ბრძოლას უცხადებენ არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ, დამოუკიდებელ მედიასაშუალებას, არამედ, ქართულ სახელმწიფოსაც, რომლის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ხსენებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტი.

ტელეკომპანიის ჟურნალისტისათვის მიყენებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, აგრეთვე, მისთვის უკანონოდ, ძალადობის გზით გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, ადასტურებს, რომ ძალადობის აქციის ორგანიზატორებს და მათ უკან მდგომ ძალებს სურთ ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაცია და მათთვის მისაღებია ყველა აზრის თუ პოზიციის მხოლოდ ძალისმიერი გზით აღკვეთა.

ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და არის ზოგადად ხელისუფლების და მისი ცალკეული წარმომადგენლების მყარი და ურყევი პოზიცია, რომელიც დაადასტურებდა მათ ერთგულებას ღირებულებებისადმი. სამწუხაროდ, ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები, საკუთარი ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადებებით, არათუ ემიჯნებიან ძალადობას, არამედ, რუსეთიდან მართულ ჯგუფებს აქეზებენ დამატებითი აგრესიის განხორციელებისათვის.

◎ **მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში**

მეცნიერული გონება – ანაკლიის მომავალს

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა

– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა აკადემიასა და ანაკლიის განვითარების კონსორციუმს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის ხელმოწერა, რომლითაც მოხდება ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა ჩართვა და მათი პოტენციალის ნაყოფიერი გამოყენება ანაკლიის ნავსადგურის სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანაში, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხოებასა და კავკასიის რეგიონში საერთაშორისო სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელობას ეკონომიკის განვითარებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით გავესაუბრეთ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველს გივი აბდუშელიშვილს.

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სულ რამდენიმე დღის წინათ ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ანაკლიის განვითარების კონსორციუმს შორის. რას ითვალისწინებს ეს მემორანდუმი?

– დიახ, გასულ კვირას ხელი მოეწერა მემორანდუმს აკადემიასა და ანაკლიის ნავსადგურის მშენებარე კონსორციუმს შორის თანამშრომლობის შესახებ. აკადემიის მხრიდან ხელს აწერს აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, კონსორციუმის მხრიდან – „თიბისი“ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე.მემორანდუმის მომზადების პროცესში განხორციელდა საკმაოდ მრავალდარგოვანი ჩართვები აკადემიის წევრების, მეცნიერებისა და სპეციალისტების, რათა ჩამოყალიბებულიყო ამ პრობლემის სტრატეგია.

– რა მნიშვნელობა ენიჭება ამ შეთანხმებას?

– მემორანდუმის მიზანი არის და ითვალისწინებს ქართველ მეცნიერთა მონაწილეობას კონსორციუმის საპროექტო ნაწილში; ესენი არიან ეკოლოგები, გეოლოგები, ნაპირდაცვის სპეციალისტები, გეომორფოლოგები, პრაქტიკოსი მშენებლები, არქიტექტორები. აი, ეს არის სწორედ მემორანდუმის სტრატეგიული მნიშვნელობა.

– როგორია მეცნიერებათა აკადემიის სამომავლო გეგმები, აპირებთ თუ არა უახლოეს მომავალში რომელიმე უწყებასთან ან დაწესებულებასთან რაიმე სახის მემორანდუმის დადებას?

– ანალოგიური მემორანდუმების შემუშავებისა და ხელმოწერის პრაქტიკა შემოღებულ იქნა აკადემიაში, უკანასკნელი 5 წელია; ამ პერიოდში გაფორმდა რამდენიმე ათეული მემორანდუმი, როგორც საქართველოს უწყებებთან (თავდაცვის, ენეგრგეტიკის, ბუნების დაცვის სამინისტროებთან), სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, ასევე საზღვარგარეთის კოლეგიალურ ორგანიზაციებთან (აზერბაიჯანის, ყაზახეთის აკადემიებთან).

ვფიქრობ, რომ ეს კარგი პრაქტიკაა, როგორც ფორმა მეცნიერთა შემოქმედებითი კავშირებისა. მემორანდუმის მომზადება თვითმიზანი არ არის, მისი აუცილებლობა მწიფდება საერთო სამეცნიერო-კვალევითი და ტექნოლოგიური ინოვაციების ამოცანების ფორმირების დროს.

ესაუბრა
მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი
ნათია ვადაჭკორია

სად მწიფდება რევოლუცია?

რუსეთში პრეზიდენტის არჩევნები სწორედ ისე დამთავრდა, როგორც რუსეთი და დანარჩენი მსოფლიო ელოდნენ. რვა კანდიდატიდან ამჟამინდელი და ბოლო 18 წლისჟამინდელი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ისეთი სხვაობით გავიდა „დამკაში“, რომ მის მხარდამჭერებსაც კი თვალები შუბლზე დაასხდათ. 76,67 პროცენტი, 56 მილიონზე მეტი ხმა — ასეთია მისი მონაპოვარი. საინტერესო უფრო ის გახლავთ, რომ მეორე ადგილზე გასულმა რუსეთის კომუნისტთა კანდიდატმა გრუდინინმა ლამის ხმათა 12 პროცენტი მოაგროვა, ხოლო მესამე ადგილზე გასულმა ჟირინოვსკიმ — თავისი „მუდმივი“ 5,66 პროცენტი.

აქედან ორი მთავარი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს. პირველი: რუსები კვლავაც ხმას აძლევენ, კვლავაც მხარს უჭერენ „მტკიცე ხელს“, უფრო სწორად, რუსეთის დაბეჯითებით სვლას მსოფლიოს საფრთხობელობისკენ, როგორც 30-იან წლებში იტყოდნენ ევროპის ერთ-ერთ ცხელ წერტილში, „როსია, როსია, უბერ ალეს“. რუსებს მოენატრათ, მოსწყურდათ უალტერნატივო პირველობა პლანეტაზე. ამან მიიყვანა ამომრჩეველთა 80 პროცენტი საარჩევნო ყუთებთან.

ერთი სიტყვით, მომავალი 6 წელი კვლავ პუტინის ზეობის ხანა იქნება. ვნახოთ, რას მოუტანს იგი მსოფლიოს, ყოველ შემთხვევაში რუსეთი რომ დემოკრატიისკენ ბიჯსაც არ გადადგამს, ნაღდია! ერთი სიტყვით, სვლა ძველი ნაცადი მარშრუტით: „ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი — მარჯვნივ, სროლა!“

მეორე: არჩევნებმა რუსეთის კომუნისტების აღზევებაც წარმოაჩინა. გრუდინინის მეორე ადგილი 12 პროცენტით გარდასული კომუნისტური ეპოქის ნოსტალგიაზე მიგვითითებს. ოღონდ ესეც არის: რუს კომუნისტთა ლიდერმა, მარად ბოღმა გენადი ზიუგანოვმა სწორი სვლა გააკეთა — თავისი საყოველთაოდ ყელში ამოსული პიროვნების ნაცვლად, პაველ გრუდინინი, მოსკოვის ახლოს მდებარე ლენინის სახელობის ფერმის მილიონერი ხელმძღვანელი რომ წამოაყენა. ოღონდ ოლიგარქი გრუდინინი კომუნისტია იმდენად, რამდენიც მის კომუნისტთა კანდიდატად გაყვანას სჭირდებოდა: ვითომ კომუნისტებმა სახე იცვალეს, ვითომ გათანამედროვდნენო. გათვლა უტყუარი გამოდგა, დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ შუბლშეკრული, „მყეფავი“ ზიუგანოვი ჩვეულებრივი სიფათის მქონე გრუდინინის ნახევარსაც ვერ მოაგროვებდა.

ძალზე სიმპტომურია იავლინსკის, ტიტოვისა და ბაბურინის საარაკო ჩავარდნა. „აფხაზეთის მფარველი ანგელოზი“ ბაბურინი 0,65 პროცენტს ვერ აცდა. მეოთხე ადგილზე გასულმა ახალბედა ქსიუშა სობჩაკმაც კი მას და დანარჩენ აუტსაიდერებს დამაჯერებლად მოუგო თავისი 1,67 პროცენტით. არადა, გვახსოვს, რა ცხარე ცრემლით ატირა იგი ავყია ჟირინოვსკიმ წინასაარჩევნო დებატებზე.

ჩვენთვის, ქართველი ამომრჩევლებისთვის რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები განსაკუთრებით საინტერესო იყო არჩევნების პროცესის ახალი, ელექტრონული სისტემის წარმართვითაც. მაშინვე ის ვიფიქრე, ეს რომ მოგვცა, ხომ მორჩება ამდენი ღავღავი „გაყალბებაზე“, „კარუსელებზე“, „ჩაყრებზე“, „ყუთების გატაცებაზე“ და ათას სხვა უკულმართობაზე-მეთქი.

მაგრამ არ ყოფილა ასე აწყობილად საქმე. გამოვიდა ორშაბათს დილით ტელევიზიით ცნობილი რუსი ოპოზიციონერი ნავალნი, რომელსაც, სხვათა შორის, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს და წუნწუხი გადაავლო ამ ელექტრონულად გაწყობილ-დალაგებულ არჩევნებს: ყველაფერი გაყალბდა და გამამაძაღლდა პუტინისთვისო. მოდი და საარჩევნო სიახლეებისა იწამე რამე... ისე, მართალი გითხრათ, რუსეთის დიდი ქალაქების ყველა გზაჯვარედინზე გამართულმა კონცერტ-ტაშფანდურებმა გასული საუკუნის, 50-იანი წლების არჩევნების მაჟორული გახმიანებები გამახსენა...

მაგრამ ახლა ჩვენს ყოფას მივუბრუნდეთ, რუსეთი თავის თავს მოუვლის, ჩვენი საგულშემატკივრო რა სჭირს...

* * *

კიდევ კარგი სატელევიზიო არხები უხვად გვაქვს და ნებისმიერ დროს შეგვიძლია გადავრთოთ და გადმოვრთოთ, გადავრთოთ და გადმოვრთოთ... თორემ მტრისას, ამდენი ყურის ტუმბვით ერთ დღესაც ყველა მაყურებელი გიორგი გაბუნიად ან სულაც ლევან ხაბეიშვილად გავიღვიძებთ, ისეთივე მაღვალაკური — „ენას ძვალი არა აქვს“ სტილის ტვინის ჭყლეტით. ახლა წარმოიდგინეთ 3,5 მილიონი (ჩავთვალოთ, რომ ამდენი ვართ!) გაბუნია და ხაბეიშვილი, 3,5 მილიონი ბოღმა ვანუა და ტყუილების გუდა... ერთი დღეც არ გვჭირდება, საათნახევარში გამოვუყვანთ წირვას ქვეყანას ბოროტი ცოცხალი და მკვდარი სიცრუეებით, ჭკუიდან გადამყვანი ციანიდგარეული ჭორებით, ერთმანეთისთვის საფლავის თხრით, ათი მცნების ერთმანეთის თავზე გადახევით და ა.შ. და ა.შ. ერთი სიტყვით, ოპოზიციური ნაწილის ერთიანად გაყოველთაობით.

ჰოდა, ამ ჩვენი ყოფით გულგასენილმა ჩვენმა პატრიარქმა ამოიგმინა, ზოგჯერ მგონია ამ ქვეყანას აღარაფერი ეშველებაო და ატყდა დღევანდელი საქართველოსთვის აგრერიგად ჩვეული ღრიანცელი და ავარდა მტვერი — როგორ თუ ერის მამა ერს ვეღარაფრით შველის, სკეპტიციზმს შეუპყრიაო. ენადგაკრეფილ რესპუბლიკელ ლიდერ ქალბატონებს რომ ჰკითხოთ, ამას შაჰ-აბასიც არ ამოუშვებდა პირიდანო (?!) ასეთი ფიქრი ქვეყნის ღალატიაო. იმას კი არ ამბობენ, რომ ქალბატონ სამნიძის ტვინის ყოველი ნაჟურია საეჭვო და განსაჩხრეკი, ერისა და ეკლესიის ერთობაში ბზარის შემტანი. ურო მოუმარჯვებიათ ენის ნაცვლად და ამ ერთობის კედელს უხათქუნებენ.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკელებმა ხელი გამოიღეს და გაუტიეს, უკან ჩამოიტოვეს ამ

ჩეს მოკვეთილი ხელები სპირტიან ქილაში და მიშას მოსუნსული ნუკერები

პარტიის საწყისი ეტაპის მეთაურთა ლევან და დავით ბერძენიშვილების თუ ზაქარეიშვილ-ხიდაშელის ლეგენდარული თაობა, რომლის ეშმაკეული აზრები ერს სულს დღემდე უმღვრევს. აი, მოვიდა ახალი ცვლა, ხათუნა სამნიძის მარჯვენაფლანგელებით და ის პირველი ეტაპი მოუსავლეთში გადააბარგა. ისე, ვერ დავმალავ, კაი, ეშხიანი გოგო კია, მაგრამ გაიღებს პირს და მოგჭამა ჭირი, ტანზე სულ წითლად დაგფოთლავს ჭინჭრის ციებიანივით.

ხათუნა სამნიძემ რატომღაც ჩათვალა, რომ თუ საპატრიარქოს და უმაღლეს იერარქს გამოდებს შარაზე ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი სამნიაობით, ამით პარტიას რეიტინგს შემატებს, თორემ ანტიეკლესიური ჭინთვებით ეკლესიას და პატრიარქს რომ ერთ ბეწვსაც ვერ ჩამოუგდებს, კარგად იცის.

ერთი სიტყვით, ოპოზიცია გვყავს, ენით ხიდან ყვავს ჩამოაგდებს! აქეთ ეკლესიას ეცა, იქით პრემიერს, როგორ თუ რუსეთის მიმართ ნორმალური განცხადება გააკეთა და პრეზიდენტ პუტინს ის კასპელი დედა არ აგინაო. გინებაზე უკეთესი გააკეთა, ჩემო ნიკანორ, სივრცე დატოვა საუბრისთვის და ოსებსა და აფხაზებთან პირდაპირი მოლაპარაკების შესაძლებლობაც არ გამორიცხა. რა არის აქ გასაცოფებელი და ვენების გადასაჭრელი?! აკი ელჩმა იან კელიმ პირდაპირ განაცხადა, აშშ მხარს უჭერს საქართველოს პრაგმატულ პოლიტიკას რუსეთთან ურთიერთობაშიო. ესეც შენი სამნიძე და სამადაშვილი...

აი, ეს არის ჩვენი ოპოზიცია, ანუ როგორც ძლივს შეკოწიწებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაშლით გულამღვრეული მიშა სააკაშვილი ახარისხებს: „ივანიშვილის ფულით მოსყიდული ყოფილი ნაციონალები და „რუსეთუმე პატრიოტული ალიანსიო“. აი, „ევროპელი“ „ნაციონალები“ კი თვითონ მიშას „დეგრადირებულ სააკაშვილს“ უწოდებენ. არადა, „დეგრადირებული სააკაშვილი“ გონებრივი პოტენციალით ბევრად აღემატება თავის ყოფილ ნუკერებს, რაც მშვენივრად ეტყობა კიდეც მელიას ამარა დარჩენილ ტურა ნაცებს, ბოკერია-სამადაშვილ-ნადირაშვილის ამარა დარჩენილ ევრონაცებს და გირჩის ღრღნით კბილებმოცვეთილ ჯაფარიძის უბადრუკ თანაციყველებს, რომლებსაც „ყოვლად უვნებელი“ მარიხუანის ლეგალიზების მომგებიანი თემის გარდა სათქმელი, საბრძოლო და ხალხის ნერვების საგლეჯი არაფერი დარჩათ. ელექტორატიც შესაბამისი ჰყავთ: დილაობით, დოზის მიღებამდე „ლომკები“ ეწყებათ.

ერთი სიტყვით, მიშას დანატოვარში ჯერჯერობით მიშას ბადალი, მიშას წონისა არავინ გამოჩენილა. ამაოდ აქვს იმედი გიგა ბოკერიას, რომ მის ადგილს შეწვდება და დაიკავებს. მიშამ კიბე სულ ასკინკილა აირბინა რიგითიდან ქვეყნის პრეზიდენტობამდე. (ახლა ის, თუ რა მალე გამოავლინა მყრალი შიგთავსი და როგორ დაგორდა მწვერვალიდან კისრისტეხით და როგორ მიარბენინებდნენ კიევში პოლიციელები ხელებგაკავებულსა და დაქოჩრილს, ეს სხვა თემაა). ასეთი ტრიუმფური ასვლის „ოფსილა“ არც ერთ ბოკერიას არა აქვს, აი, მწვერვალიდან კისრისტეხით დაშვებას კი, ალბათ, ყველა მათგანი შეძლებდა.

მიშა იქაჩება, ჩე გევარა, რევოლუციონერი ვარო, ოღონდ ავინ ყდება, რომ რევოლუციონერები უმრავლეს შემთხვევაში ცუდად ამთავრებდნენ. ბოლივიაში მოკლული ჩეს მაჯებში მოკვეთილი ხელები სპირტიანი ქილით ინახება ჰავანაში, რევოლუციის მუზეუმში.

შოვინისტმა და დემაგოგმა ჟირინოვსკიმ სააკაშვილს „ნარინჯისფერი რევოლუციის ლენინი“ უწოდა. ჟირინოვსკი გიჟი კია, მაგრამ თუ დასჭირდა, ხანდახან გრამნახევარ ჭკუასაც გამოაჩენს ხოლმე.

ვინ ივარაუდებდა მიშისტებში ვინმეს ჩე გევარად ან „ნარინჯისფერი რევოლუციის ბელადად“ ან სამშობლოდან დევნილობაში ყოფნისას მეორე სახელმწიფოს ვარსკვლავბიჭუნად, თუნდაც მცირე ხნით? ეს აქვს მიშას და ვერ წავართმევთ, ეს შეუძლია და ვერ დავმალავთ. და ახლა ნიკანორ მელიამ მთელ სამელიეთში ქუდზე კაცი რომ გამოიყვანოს, ვერაფერს მიაღწევს მარტო იმით, რომ მიშას დროშად აფრიალებენ.

იციან ეს და ამიტომაც დასდევენ ყველა შერეკილს თავს რომ ოპოზიციონერს უწოდებს, არიქა, გავერთიანდეთ და პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატი წარვადგინოთ, იქნებ ასე მაინც მოვუგოთ „ქართულ ოცნებას“, მიშას სიზმრები ავუხდინოთო.

ვნახოთ, რა გამოვა ამ ვაინაჩრობით, ვითომ გააერთიანებენ ოპოზიციურ სპექტრს?! ვითომ ნაცმოძრაობა — დღევანდელი „განუყოფელი“ და „პატრიოტთა ალიანსი“, რომელსაც მიშა ენამრავალმა „რუსეთუმე“ უწოდა და ირმა ინაშვილს ვითომ გული მოუკლა, ერთ ტიკში შეიძლება ჩაისხას ან რომც ჩაისხას, დასალევად, თუნდაც დასაჭაშნიკებლად ივარგებს?

ყოფილი პრეზიდენტის ნაზირ-ვეზირები დღესაც დაღოღავენ ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ და დაკარგული ხელისუფლების დაბრუნებაზე ოცნებობენ. ახლა ჩამომცრობილი, ბუმბულგაცლილი პრეზიდენტის პოსტი ენიაზებათ და მზად არიან ეშმაკსაც კი, თუნდაც რესპუბლიკელებს შეეკრან, ოღონდ „ოცნებას“ გადაუჯოკრონ.

გულდაგულ აყურადებენ მელიები უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს. მიშას მხარდამჭერ ყოველ წვრილფეხა აქციაზე წამოყელყელავდებიან ხოლმე, ხედავთ, რა ხდებაო?! არაფერიც არ ხდება! თუ 45-მილიონიან უკრაინაში მიშას მხარდამჭერი 300-500-კაციანი დემონსტრაციები თუნდაც ყოველდღე გაიმართება, ეს არაფრის მომცემი და აღსაფრთოვანებელი არ არის, მაგრამ თუ აქციათა მასშტაბი 100-200 ათასს ასცდება, თანაც სხვადასხვა ქალაქში, მაშინ მართლაც შეიძლება რაღაც იგუმანო, მაგრამ რომ არ ჩანს თბილისის იპოდრომის მასშტაბის (გახსოვთ) აქციები?! ამას მშვენივრად ხედავს ოდესის ყოფილი გუბერნატორი და ყოველგვარი ლოგიკის გარეშე თბილისში დაბრუნება გულში უხიცინებს.

სააკაშვილი ჯერ ახალგაზრდა კაცია, ის ჯერ პოლიტიკიდან არ წავა. ამიტომ ყოველთვის დასჭირდება მელიები და ნადირაშვილები, მით უფრო, რომ იქადნის, ჩემს ბრძოლას უკრაინასა და საქართველოში ბოლომდე მივიყვანო. მიიყვანს, თუ მიაყვანინეს! საქმეც ეგ არის, რომ არ მიაყვანინებენ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ბოლომდე მიყვანის“ შემთხვევაში, მაშინვე უკუმოძრაობა დაიწყება — ჟანგბადის გადაკეტვის და ჩამოგდებისა...

ანუ ისევ უნდა აირიოს ქვეყანა!

მერე, უნდა ეს ვინმეს?!

ალეკო ასლანიშვილი

„საქართველოში ერთკაციანი სოფლების არსებობა აღარავის უკვირს“

ბოლო 25 წელიწადში ოდენ იმერეთის მოსახლეობა 230.000 კაცით შემცირდა!

მაღალმთიან დასახლებათა ნუსხა პერიოდულად იზრდება. ამჯერად მას სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, შიდა და ქვემო ქართლის 15 სოფელი დაემატა. კერძოდ, საკირე, ტაძრისი, ზვარე, მუხურა, ბეგიაური, გედსამანია, ღოღეთი, ბრდაზორი და სხვა.

თუმცა საინტერესოა, მაღალმთიანი დასახლებებისთვის გათვალისწინებული შეღავათები რამდენად გაავსებს მოსახლეობისგან დაცლილ მთას? ამის შესახებ For.ge-ს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დემოგრაფი ანზორ თოთაძე ესაუბრა.

— გასულ წელს მაღალმთიანი სოფლებისთვის გათვალისწინებული შეღავათით 7 272-მა ოჯახმა ისარგებლა, რომელთაც 2017 წელს შვილი შეეძინათ. ამას ემატება შეღავათებით მოსარგებლე 69 803 პენსიონერი, 14 150 სოციალური პაკეტის მიმღები, ასევე, ექიმები, ექთნები, პედაგოგები, სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელები, მთაში მუშაობით დაინტერესებული მეწარმეები. რამდენად ქმედითია ეს ღონისძიებები, რომ მთაში მოსახლეობა დამაგრდეს?

— თუკი ამ ადამიანებს სახელმწიფო ეხმარება, ამას რა სჯობს? პრინციპში, 15 სოფელი ბევრი არ არის, მაგრამ მრავალი სოფელი საერთოდ არ შედიოდა მთიანი სოფლების ნუსხაში, თუმცა მაინც შეიყვანეს, რათა დახმარებები იქაურ მცხოვრებლებსაც მიეღოთ. ახლა გამოკვლევას ვატარებ და გამოკითხულთა თითქმის 80% ამბობს, რომ, თუკი შობადობა წახალისდება, კიდევ გააჩენს შვილს. 600 კაცამდე გამოვკითხე და მხოლოდ ერთი ადამიანი შემხვდა, რომელმაც მითხრა, სამასი ლარი რომ მომცენ მესამე შვილზე, ეს რა არის, რას ეყოფაო? ასე თუ მივუდექით, მაშინ გამოდის, რამდენი ბავშვიც გაჩნდება, სახელმწიფომ უნდა არჩინოს. ამიტომ, თუ მოხერხდება და სამასი ლარი მიეცემათ მესამე შვილზე ზუსტად იმ რეგიონებში, სადაც მძიმე დემოგრაფიული სიტუაციაა და შობადობა დაბალია, ეს ნამდვილად წაადგება დემოგრაფიას. შესაძლოა, 300 ლარი ცოტა იყოს, მაგრამ ასე ცოტა-ცოტათი მერე თანდათანობით მივდივართ იქითკენ, როგორმე გავაუმჯობესოთ დემოგრაფიული ვითარება. სულ 3 მილიონ 700 ათასი ვართ, აქედან 700 ათასს ასცდა პენსიონერთა რიცხვი, სოციალურად დაუცველთა რიცხვი ასი ათასობითაა, მილიონზე მეტი ბავშვია და ამ 3 მილიონ ნახევარი ადამიანიდან, რომელთა შორისაც ძალიან ცოტა მუშაობს, უნდა არჩინოს ეს ბავშვებიც, პენსიების თანხაც გაიღოს და სოციალურად დაუცველი ადამიანებიც უზრუნველყოს. ეს საკმაოდ რთულია. ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური პრობლემებია, ძალიან ძნელია, გავაკეთოთ ისე, როგორც ეკადრება მრავალშვილიან ოჯახებს. რაც არის, ესეც კარგია, თუმცა შეიძლება, ცოტა მეტი ფინანსური სახსრები ვეძებოთ, რომ ჩვენმა მოსახლეობამ ღირსეულად აღზარდოს საკუთარი შვილები.

ამდენი ხანია, ღირსეულ სიბერეზე, ღირსეულ მოხუცებულობაზე ვლაპარაკობთ. წლები გადის, ამ ტერმინს ვიმეორებთ და ისე მიდიან ხანდაზმული ადამიანები საიქიოში, რომ ვერ ეღირსნენ ღირსეულ სიბერეს. არ დაგვავიწყდეს, რომ „ნაციონალების“ დროს აბსოლუტურად არაფერი გაკეთებულა მოსახლეობისთვის. მათ დემოგრაფიული პრობლემებისთვის თითიც არ გაუნძრევიათ. 2014 წლიდან მოყოლებული, ექვს რეგიონში, სადაც მძიმე მდგომარეობაა (მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე იბადება), ყოველთვიურად 150 ლარს აძლევენ. მთაში აძლევენ 200 ლარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მთის კანონის შედეგად ცოტათი გაზრდილი პენსიებია და ისინი 216 ლარს იღებენ. ეს ბევრი არ არის, მაგრამ არც ცოტაა სოფლისთვის.

— მთის მიმართ პოლიტიკამ რაიმე შედეგი გამოიღო, თუ მთა ისევ მოხუცების ამარად არის დარჩენილი?

— რა თქმა უნდა, ძირითადად მოხუცები არიან დარჩენილნი, რადგან უცბად ხომ არ წავა ვინმე მთაში და დასახლდება? ბევრი სოფელი გაქრება, მაგრამ, გარკვეულწილად, მთის ცალკეულ სოფლებში ცხოვრების ხარისხი, ჯანმრთელობა ცოტათი მაინც გაუმჯობესდება. ეს სოფლები გამოარჩიეს იმით, რომ მაღალმთიანია, თუ არ ვცდები, 800 მეტრზე ზემოთაა და რამდენად მძიმე მდგომარეობაა ამ სოფლებში, სწორედ ამის მიხედვით ხდება მათი გამორჩევა. ფაქტობრივად, დაცარიელებულია რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდება, იმერეთი 25 წელიწადში დაცარიელდება და, ასევე, სხვა რეგიონები.

იმერეთის მაგალითი ხშირად მომყავს, რადგან 1989 წელს იმერეთში 767 ათასი კაცი ცხოვრობდა. 2002 წელს — 700 ათასი, ხოლო 2014 წელს — 534 ათასი. მოსახლეობის რაოდენობა რაც უფრო მცირდება, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს გაუკაცრიელების პროცესი. ოპონენტები გვეტყვიან, როგორ, ახლა ვინც დაიბადება, ის ამ 25 წელიწადში მოკვდება, თუ რა იქნება? კი არ მოკვდება, მაგრამ იმერეთში, სადაც 25 წლის წინათ თითქმის 800 ათასი კაცი ცხოვრობდა და ახლა მოსახლეობამ მნიშვნელოვნად იკლო, ეს მონაცემები განა დაცარიელებას არ ნიშნავს? განა დაცარიელება არ არის, რომ რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა დღეს სულ რაღაც 26 ათასია, მაშინ, როცა 1970 წელს 67 ათასი კაცი იყო. ონსა და ამბროლაურში ყოველწლიურად 400-500 კაცით მეტი იღუპება, ვიდრე იბადება და თითქმის ნახევარი საუკუნეა, სულ ასეა. ლენტეხში უკვე ვეღარ ჩერდება მიგრაციული პროცესი.

— ერთკაციანი სოფლების შესახებ რას გვეტყვით? კონკრეტულად რომელი სოფლები ცარიელდება და რომელ რეგიონში?

— 3 ათასზე მეტი სოფელია საქართველოში, მათგან გაუკაცრიელებულია 223 სოფელი, ანუ იმ სოფლებში აღარავინ ცხოვრობს. ერთკაციანი და ორკაციანი სოფელი საქართველოში ძალიან ბევრია. კერძოდ, ჩვენ გვაქვს 39 ერთკაციანი სოფელი, ორკაციანი — 46 სოფელი, სამკაციანი — 27, ოთხკაციანი — 23, ხუთკაციანი — 21 სოფელი. მთლიანობაში, ერთიდან ათ კაცამდე რომ ცხოვრობს, ასეთი 255 სოფელია და ეს ძალიან ბევრია. ძირითადად, ეს სოფლები მცხეთა-მთიანეთშია. მცხეთა-მთიანეთის 111 სოფლიდან თითოეულში ერთიდან ათ კაცამდე ცხოვრობს. თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ფაქტობრივად, დაცლილია. ინფრასტრუქტურა არ არის ამ სოფლებში, რადგან ძალიან ძნელია, ერთ-ორ ან ათკაციან სოფლებში გზები, გაზი გაიყვანო. ეს დიდ ხარჯებს უკავშირდება.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ჰაერის დაბინძურების გამო სიკვდილიანობით საქართველო მსოფლიოში მე-3 ადგილზეა

SOS! აი, სანამდე მივიყვანეთ წალკოტად შექმნილი ჩვენი სამშობლო თავის დედაქალაქიანად!

ჰაერის დაბინძურების გამო სიკვდილიანობის დონით საქართველო მსოფლიოში მე-3 ადგილზეა. ინფორმაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახური ავრცელებს და 2016 წელს აშშ-ში, ვაშინგტონის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კვლევას ეყრდნობა.

აუდიტმა თბილისში ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების ეფექტიანობა შეისწავლა და დაასკვნა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება.

„არ ტარდება ღონისძიებები მოსახლეობის ფართო მასებისთვის ცნობიერების ასამაღლებლად, ატმოსფერული ჰაერის დაცვის აუცილებლობის და დაბინძურებული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შესახებ, რაც განაპირობებს პრევენციული ღონისძიებების ნაკლებობას და საზოგადოების დაბალ აქტიურობას ჰაერის დაცვის თვალსაზრისით“, — ნათქვამია აუდიტის ანგარიშში.

ანგარიშის მიხედვით, თბილისში ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო ავტომანქანებია, მათ

შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

„მზარდი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის მაღალი ხარისხის სტანდარტის დაცვა. საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული არასახარბიელო შედეგები უარყოფითად აისახება ქვეყნის ტურისტულ რეპუტაციაზე. მუნიციპალური ავტობუსების უმრავლესობა მათი ასაკის, შიდა წვის სისტემის სიძველისა და მისი აღდგენის შეუძლებლობის გამო, ვერ გადის პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას.

2015 წლის დეკემბერში შემუშავდა „თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია“, რომელიც ოფიციალური დოკუმენტის სახით არ დამტკიცებულა.

03.10.2016 — 03.04.2017 პერიოდში, თბილისში მოძრავი მიკროავტობუსების დაახლოებით 25% არ გამოცხადდა მათთვის სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების გასავლელად, ხოლო 04.04.2017 — 06.10.2017 პერიოდში — 40%. ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის მექანიზმი სუსტია; ატმოსფერული ჰაერის ზოგიერთი ხარისხობრივი მაჩვენებლის ფაქტობრივი დონე ქალაქის მასშტაბით, აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. თბილისის 3 წერტილში აღებული ჰაერის სინჯების მიხედვით, წერეთლის გამზირზე აღირიცხა ყველა მაჩვენებლის გადაჭარბება.

2017 წელს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე გადაჭარბების პროცენტული მაჩვენებელი ოზონის (O3) შემთხვევაში შეადგენდა 167%-ს, გოგირდის დიოქსიდი (SO2) — 155%-ს და ნახშირჟანგის (CO) — 122%-ს;

არ არის დანერგილი ჰაერის დაბინძურების სრული და რეალური სურათის დასადგენად მავნე ემისიების პროგნოზირებისა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემები,“ — ნათქვამია აუდიტის ანგარიშში.

პოლიტიკისა და სახელმწიფოს მოწყობის შესახებ

უცნაურია, მაგრამ განათლების ამ საუკუნეში მონარქები მოახლოებულ ელჭექს მხოლოდ მაშინ ხედავენ, როცა ის უკვე თავს ატყდებათ.

* * *

ხელმწიფე, ყოველმხრივ სრულყოფილი, უნდა იქცეოდეს როგორც კეისარი, ზნე-ჩვეულებით უნდა ჩამოჰგავდეს იულიანეს, სათნოებებით კი — მარკუს ავრელიუსს.

* * *

შენი მსგავსი გონების ადამიანებზე მბრძანებლობის ჟინი ერთ-ერთი ყოვლის უფრო ძლიერი ადამიანური ვნებაა.

* * *

საბეჭდი დაზგა არსენალია: ის არ შეიძლება, რომ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გავხადოთ; წიგნები მხოლოდ იმათ უნდა ბეჭდონ, ვინც მთავრობის ნდობით სარგებლობს.

* * *

აუცილებელია არა მარტო განრიზონების ხშირი ცვლა, არამედ ადამიანებისაც, ხელისუფლების სათავეში რომ დგანან, ეს უდავოა. თვითონ სახელმწიფოსთვის ხელსაყრელი და სასარგებლოა, რომ თანამდებობის პირნი მუდმივად იცვლებოდნენ: უკეთუ ეს პრინციპი დაცული არ არის, გარდაუვალია საუფლისწულო მამულებისა და სერიორიალური მართლმსაჯულების გაჩენა.

* * *

სიმამაცე განამტკიცებს ტახტს; სილაჩრე და სამარცხვინო საქციელი კი არყევენ, და ერთადერთი საშველი გადადგომაა.

* * *

მე ვაიძულე ჩემი საკუთარი მტრები, რომ ემსახურათ ჩემი დიდებისთვის და დახოცილიყვნენ ჩემთან ერთად — აი, რა არის ჩემი მმართველობის გამორჩეული თვისება.

* * *

ნუთუ აგრერიგად მნიშვნელოვანია, არსებითად თუ ვიტყვით, სოფისტების ეს მოსაზრებანი, როცა სამხედრო ბრძანებები გაისმის? ისინი, ვინც მორჩილებისთვის მზად არის, მწყობრის ხაზს არ უნდა გადმოსცილდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ანჩხლთ და აშართ არ ებოდიშებიან.

* * *

საფრანგეთში ამჟამინდელი პარტიების ბელადები ოჩოფეხებზე შემდგარი ქონდრის კაცები არიან, მეტისმეტად ცოტაა ნიჭიერნი კაცნი, მეტისმეტად ბევრია, თვლა არა აქვთ ყბედებს.

* * *

რესპუბლიკა საფრანგეთში შეუძლებელია: მართლმორწმუნე რესპუბლიკელები იდიოტები არიან, ყველა დანარჩენი — ინტრიგანია.

* * *

ბევრად ადვილია რესპუბლიკის დაარსება უანარქიოდ, ვიდრე მონარქიისა — უდესპოტიზმოდ.

* * *

რესპუბლიკელთა ზნეობა გამოირჩევა დიდი თავაწყვეტილობით: ისინი უყოყმანოდ ყველაფრის ნებას აძლევენ თავიანთ თავს, რაც წაადგება თვითონ იმათაც და იმათ პარტიასაც; ამგვარადვე, თუ რამ სათნოებაა რესპუბლიკაში, დანაშაული ხდება მონარქიის დროს.

* * *

ზნეობის დაცემა სახელმწიფოს ღუპავს როგორც პოლიტიკურ მთლიანობას.

* * *

ყოველი ქვეყნის უტყუარი სიმდიდრე იმის მცხოვრებთა რიცხოვნობაში, იმათ შრომასა და ფხიანობაშია.

* * *

ოდეს ხელგაშლილად ფანტავენ პატივს, ბევრი უღირსი ადამიანი ეგრევე ზედ ვარდება, ხოლო უდავოდ დამსახურებული ხალხი გვერდზე იწევს. ვინ დაიწყებს სამხრეების ძებნას ბრძოლის ველზე, როცა იმათი შოვნა შეიძლება ვიღაცის წინკარში?

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №52-56

ასე ამბობდა ნაპოლეონი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

უნიათო ხელმწიფეთ არცროდის არ შეუძლიათ დაუსჯელად არც დესპოტურად მართვა, არც ხალხის კეთილგანწყობილებით სარგებლობა.

* * *

რევოლუციონერები და ემიგრანტები თანაბრად გულხარბნი იყვნენ სიმდიდრისა და წარჩინების ამბავში. ისინი სულმდაბლობაში ეჯიბრებდნენ ერთმანეთს. მე კი ახალი ადამიანების განდიდება მეწადა და, რამდენიც შესაძლებელი იყო, ჩემთა ჯარისკაცთა რიგებს ვუმატებდი.

* * *

ხელმწიფე ხალხის კეთილგანწყობილებას კარგავს როგორც ცდომილებისა გამო, ყურადღების ღირსადაც რომ არა ღირს, ისე სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. ოდეს სრულად დაუფლებული ხარ მართვის ხელოვნებას, დიდი სიფრთხილე გმართებს, თუ შენი რეპუტაციით ეწევი რისკს.

* * *

ხელმწიფისთვის მუდამ ძნელია პირდაპირ პირში ტყუილის თქმა.

* * *

ამქვეყნად ბევრი ადამიანია, რომელთაც მარტოოდენ იმ მიზეზით, რომ სახელმწიფოს სათავეში არიან, თავი მართვის ნიჭით დაჯილდოებული ჰგონიათ.

* * *

სუყოველ ქვეყანაში უხეშმა ძალამ ადგილი უნდა დაუთმოს სამოქალაქო განათლებულობას. ხიშტები თუ ჯიდები თაყვანს სცემენ უფლის სახელით მოღაპარაკე მღვდელთ და გონებრივად უპირატეს კაცთ. ხალხმა მმართველობა იმიტომ კი არ ჩამაბარა, რაკი გენერალი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ჩემში მართვისთვის აუცილებელ სამოქალაქო თვისებებს გულისხმობს.

* * *

ადამიანის გონებამ შესაძლებელი გახადა სამი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, დაბეგვრის თანასწორობა და სინდისის თავისუფლება; უკეთუ მონარქნი ჭკუას მწყრალად არ გაუხდებიან, ისინი საზოგადოებრივი ხელშეკრულების ამ სამ საფუძველს თავდასხმას არ დაუწყებენ.

* * *

იმისთვის, რათა მშვიდობა შესაძლებელი და მტკიცე იყოს, ინგლისი უნდა დარწმუნდეს, რომ კონტინენტზე ხელისშემწყობთ ვეღარ იპოვის. საჭიროა, როგორც საქმემ გვიჩვენა, რომ რუსულმა კოლოსმა ვეღარ შეძლოს სამხრეთის დამუქრება შეჭრით.

* * *

ცარიელი ოქროპირობა, უმეცრებასა ანდა სიძულვილზე დაფუძნებული, ცდილობდა 1814 წელს ევროპის დარწმუნებას, რომ საფრანგეთში არ არიან არც ადამიანები, არ არის არც საქონელი, არც მიწათმოქმედება, არც ფული; რომ ხალხი გაჭირვების უმდაბლეს საფეხურზეა; რომ სოფლად მარტოოდენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს თუ შევხვდებით. არადა, იმჟამინდელი საფრანგეთი მთელ დედამიწის ზურგზე უმდიდრესი ქვეყანა იყო და ბევრად მეტი ფული ჰქონდა, ვიდრე მთელ დანარჩენ ევროპას.

* * *

ევროპა მშვიდად იქნება მხოლოდ ისეთი წესწყობილების დროს, რომელიც ბუნებრივ საზღვრებს დაადგენს.

* * *

ძველ რომაელთ ყოველივე დიადის ინსტინქტი ჰქონდათ: ტყუილად არ დაუპყრია რომს მსოფლიო.

* * *

განათლების ჩემეული სისტემა საერთო იყო სუყოველი ფრანგისთვის: განაღამც კანონებია შექმნილი ადამიანებისთვის, პირიქით, ადამიანები არიან შექმნილი კანონებისთვის.

* * *

მთავრობისთვის ხელმწიფეთა გაუბედაობა იგივეა, რაც დამბლა სხეულისთვის.

* * *

ჭეშმარიტი მონარქი, ომის მნდომელი, არ გაურბის ომს; როცა აიძულებენ, რომ იომოს, მან დაუყოვნებლივ პირველმა უნდა იშიშვლოს დაშნა, სწრაფად და ენერგიულად უნდა შეიჭრას, სხვაგვარად სუყოველი უპირატესობა თავდამსხმელის მხარეს იქნება.

* * *

ღმერთმა იმპერატორი თავისი ძალმოსილების ნაცვლად და მსგავსად დაადგინა დედამიწაზე.

* * *

ძალაუფლება უფლისგან მოდის, და ოდენ ამის გამო შეიძლება, რომ ის ადამიანთა მხრიდან ხელყოფაზე მაღლა დავაყენოთ.

* * *

მონარქი ვალდებულია, გულმოდგინედ ადევნოს თვალყური, რა არი მატერიალური დოვლათის განაწილება არ ხდებოდეს მეტისმეტად უთანაბროდ, რამეთუ ამ შემთხვევაში ის ვერც ღარიბთ შეაკავებს და ვერც მდიდართ დაიცავს.

* * *

საკუთრების არათანაბარი განაწილება არყევს ყოველგვარ საზოგადოებას და დამღუპველია ქვეყანაში წესრიგისთვის, ის ეგრევე კლავს ფხიანობასა და გაჯიბრებას, მსხვილი მფლობელი არისტოკრატია კარგი იყო ოდენ ფეოდალური სისტემის დროს.

* * *

ჩემი ფინანსური სისტემა ითვალისწინებდა პირდაპირი ბეგარის შემცირებას, მძიმე ტვირთად რომ აწვა ქვეყანას და ამ ბეგრის არაპირდაპირ, ირიბად შეცვლას, რაც მიმართული იყო მხოლოდ ფუფუნებისა და თავშეუკავებლობის წინააღმდეგ.

* * *

მმართველობაში არ უნდა იყოს ნახევარპასუხისმგებლობა, რამეთუ გაფლანგვის დაფარვისა და კანონების შეუსრულებლობისკენ მივყავართ.

(გაგრძელება იქნება)

ყოველ არაჩვეულებრივ ადამიანს განსაკუთრებული მოვალეობა აქვს დაკისრებული, როცა იგი ამას შეასრულებს, ამ აღნაგობაში უკვე საჭირო აღარაა... ასე მოუვიდა ნაპოლეონსაც და სხვას მრავალს მისთანას. მოცარტი 36 წლისა დაიღუპა, რაფაელიც ამავე ასაკში, ბაირონი ცოტა უფრო ხნიერი მოკვდა, მაგრამ ყველამ ბრწყინვალედ შეასრულა ზენაარისაგან დაკისრებული მისია.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ᲙᲕᲜᲔᲡᲘᲡ ᲝᲛᲣᲜᲔᲡ ᲯᲘᲮᲐ!...



„ᲝᲛᲣᲜᲔᲡ ᲯᲘᲮᲐ“ ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲐᲛᲓᲔ (1970Წ.)

ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲧᲝᲤᲘᲚᲘ“ ᲒᲕᲐᲠ-ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

...„ᲛᲣᲜᲐᲤᲐ“ ღრუბელს ჰქვია ლაზ-მეგრელ-იბერთა ენაზე. ომუნეს კი, ღრუბელთ მხარეს, დაჩრდილულ მხარეს უწოდებენ მეგრელნი. ამიტომ ჰქვია ამ მთის მასივს „ომუნე“! იგი ქალაქ ჯვარს ჩრდილოეთიდან გადაჰყურებს და იმ ჰაერით სუნთქავს, რომელსაც ივერთქვეყანა ჰქვია და, რომლის ორანი, ლამის არის დაავიწყდათ მავანთ!

...ცნობილმა ქართველმა, დიდებულმა სვანმა პოეტმა ერეკლე საღლიანმა ერთ-ერთ თავყრილობაზე გულისტკივილით ამოაგორა სულიდან:

— „...მეგრელები იმ დროს იმ ქართულით საუბრობდნენ, თქვენ რომ დაგავიწყდათ!...“

ეს სიტყვები გულიდან იყო ამოხეთქილი და გამგონეთაგან უმრავლესობას საამოდ დაუარა არსებაში, ზოგს კი... არაკომპეტენტურად „წამოსროლილი“ სიტყვებისათვის საკადრისად გასცა პასუხი ბატონმა ერეკლემ იმათ, მაგრამ...

...მოდით, ამჯერად ვაპატიოთ იმ „ზოგიერთ უმეცარს“ შეცოდებანი! მათ ხომ სათანადოდ არც ენა იციან ქართული, არც წესი და არც რიგი, არც ისტორია და არც მატიანის მნიშვნელობა!... უბრალოდ, ყურმოკრულზე აგებენ სასახლეებს, რომელთაც წკიპურტიც კი ეყოფათ დასანგრევად!

სწორედ ამიტომ დაიწერა ეს სადღეისო გულისტკივილი!

...70-იანი წლების დასაწყისიდან ბედნიერება მქონდა, საქართველოს ტელევიზიაში მემუშავა და სვანეთის პრობლემებისათვის მიმეძღვნა საგაზეთო სტატიები თუ ტელენარკვევები... და წიგნი — „ჩანახატები სიმღერისათვის „სვანეთი“ და სვანეთის უნიკალური სიმდიდრის მოვლა-დაცვის საქმეში შემეტანა ჩემი მოკრძალებული წვლილი. ამ საქმეში მხარში მედგნენ შესანიშნავი მეცნიერები, სვანეთის დიდებული შვილები, პროფესორები მიხეილ ჩართოლანი და შოთა ჩართოლანი, საქართველოს კომკავშირის მაშინდელი მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ბორის კახიანი. მათთან ერთად არაერთხელ გამივლია გზა ზუგდიდიდან უშგულამდე!

პარალელურად სამეგრელოს ისტორიულ ძეგლებზე და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობაზეც ვამზადებდი გადაცემებს. ამ სფეროში კი, თანაავტორები გახლდნენ მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გივი ელიავა, პროფესორი პარმენ ზაქარაია და ისტორიკოსთა მთელი პლეადა. იმ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა არქეოპოლისის არქეოლოგიური სამუშაოები და ბატონი პარმენი დღე და ღამეს ათენებდა იქ. არ დარჩენილა მცირე დეტალიც კი, რომელსაც ჩვენი კალამი არ შეხებოდა!

...ზუგდიდიდან მესტია-უშგულამდე მგზავრობის დროს ჩვენი უპირველესი შეჩერების ადგილი იყო ქალაქ ჯვართან, ისტორიული ქარაშოტის მიერ გვერდებჩამონგრეული ომუნეს ციხე-კოშკი!

— „...ოხაჩქუეს მთის ძირას, ენგურის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ ჯვართან დგას დრო-ჟამისაგან გვერდებჩამონგრეული ციხე-კოშკი...“ — წერს ანა ანტონოვსკაია რომანში „დიდი მოურავი“!...

— ეს კოშკი, თუ კარგად დააკვირდებით, კოლხური კოშკია, თავისი ქონგურებითა და რიყის ქვებით ნაგები! — აღნიშნავდა ბატონი მიხეილ ჩართოლანი, — ამ კოშკსა და სვანურ კოშკს შორის ხელშესახები განსხვავებაა!... სვანური კოშკები, მართალია, უნიკალურია თავისი არქიტექტურითაც და ფუნქციითაც, მაგრამ კოლხურ კოშკს თავის უნიკალურობასთან ერთდ მისთვის დამახასიათებელი სხვა დანიშნულებაც ჰქონდა!... ის შენდებოდა ციხე-ქალაქის, ხეობების, მთამაღალის გამორჩეულ ადგილზე!... ის იყო სასიგნალო დანიშნულების და მტრის გამოჩენისას მასზე ცეცხლს ანთებდნენ და ატყობინებდნენ ბაბათს მომხვდურთა მოახლოებას!... ამიტომ მის ქონგურს გადახურვა არ უნდა ჰქონოდა!...

ბატონი პარმენი და ბატონი მიხეილი იყვნენ ჩვენი მასწავლებლები და კონსულტანტები და მათ ყოველ ნათქვამს უბის წიგნაკში თუ ხმისჩამწერში ვიწერდით და მათი ეს მოსაზრება არაერთხელ გაჟღერებულა ტელეეკრანიდანაც.

— „ლაყორია-ომუნეს კოშკი კოლხეთისთვის დამახასიათებელი კოშკია თავისი ფორმითა და მოცულობით... მისი მსგავსნი არაერთგანაა აღმართული კოლხეთის მიწაზე... ამ კოშკიდან გვირაბის არსებობაცაა ნავარაუდევი, რომელიც, შეიძლება, ლექარდეს უბანში არსებული მიწისქვეშა ნაგებობისკენ მიდის!“ — არაერთხელ უთქვამს ბატონ პარმენს ეს მოსაზრება! ამიტომ ამ უბნის არქეოლოგიური შესწავლა გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა ბრძენკაცს! კოშკი და მისი შემოგარენი იმ დროისთვის, მართლაც ისეთ მდგომარეობაში იყო, სავალალოს რომ ეძახიან. „ენგურჰესელებმაც“ კიდევ უფრო დაატყვეს მსახვრალი ხელი და მის სათანადოდ აღდგენაზე საუბარი ყველას დაავიწყდა! არადა, ისტორიული ძეგლებიც ხომ, იმ ენაზე ლაპარაკობდნენ, ბატონი ერეკლეს ნათქვამისა არ იყოს, „ბევრს რომ დაავიწყდა“!

...დაავიწყდათ და საბოლოოდ დაიღუპა ომუნეს ჯიხა! რაიონული და რესპუბლიკური პრესა კი, ეპიზოდურად მაინც, გამოხატავდა აღშფოთებას!...

მაგრამ...

დაუფიქრებელმა „ქველმოქმედებამ“ კიდევ უფრო გამანადგურებელი დაღი დაამჩნია ძეგლს, — ვაიმეცნიერთა მხარდაჭერით „მიწა მიაყარეს“.

კიდევ ერთხელ მოკვდა ომუნეს ჯიხა!

ოთხმოცდაათიან წლებში გველხოკერა და ღრიანკალი დაუფლებოდა სამეგრელოს უძველეს მიწას... არ ეცალათ ჯვარელებს და წალენჯიხელებს! მანამდე იყო ფსევდოისტორიკოსთა გზას აცდენილი „ამაგი“!... სახე და სახელი შეეცვალათ ისტორიულ ძეგლებსაც!...

მერე დადგა ჟამი პარლამენტის შენობაში „რევოლუციის შევარდნისა და „ჩაის სმისა“

გულუბრყვილო ჯვარელებმა 2004-2012 წლებში ისევ ვცადეთ „ხმის ამოღება“. რესპუბლიკის ყველაზე ავტორიტეტულმა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ ერთმანეთის მიყოლებით გამოაქვეყნა სტატიების სერია: „კოლხური კოშკის ღაღადისი“, „ძეგლს ძველი იერი უნდა დაუბრუნდეს“, „როგორ უკვდავყვეს თავიანთი გვარ-სახელები ნიგურიანებმა, ავალიანებმა და რატიანებმა“, „მდინარე მაგანას ხიდი“ და ა.შ.

სამწუხაროდ, პრესას არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია! არც კულტურის სამინისტრო შეწუხდა ჩვენი საწუხარით და არც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური. პერსონალურად მათ სახელზე გაგზავნილ ბარათებსაც არ მოჰყოლია შედეგი!...

...და დაიბეჭდა კიდევ ერთი „ბარათი“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ახლა უკვე პრეზიდენტის მისამართით: „მამული ციდან დანახული ჯობია, ვითომ?“. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი იმ დღეებში ომუნეს ჯიხადან სულ რაღაც ორას მეტრში ქეიფობდა, არც შეწუხებულა, რომ ჯვარელთა გულისტკივილს შეხმიანებოდა!

...დღეს კი წარსულში იმედგაცრუებულმა ჯვარელებმა კვლავ ვცადეთ იმედის თვალით შეგვეხედა მომავლისათვის! ქალაქ ჯვარის მუნიციპალიტეტმა და გულმხურვალე მამული შვილებმა კვლავ წამოიწყეს ბრძოლა ბაბათის გადასარჩენად და რაიონისა და რესპუბლიკის სათანადო ორგანოებსა და სამეცნიერო სამსახურებს მიმართეს, მაგრამ — „ვაიი“!... იმის ნაცვლად, რომ კომპეტენტური პასუხი მიეღოთ, მიიღეს აი, ასეთი ფარატინა ქაღალდი:

„...გაუგებარია თქვენი განცხადების მთავარი მოთხონა ომუნეს ჯიხასთვის პირვანდელი სახის დაბრუნების თაობაზე, მით უფრო, რომ რაიმე სახის დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე უცნობია, გარდა კერძო პირთა სავარაუდო მოსაზრებისა... მიგვაჩნია,რომ დამატებით რაიმე კომისიის შექმნის საჭიროების აუცილებლობის შესახებ არ იკვეთება!“.

პასუხს ხელს აწერს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი, ბატონი ნიკოლოზ ანთიძე.

საოცარი ფაქტია! იმის ნაცვლად, რომ სააგენტოს თავი შეეწუხებინა და უფრო ახლოს მიეტანა გულთან ჯვარელთა გულისტკივილი და, თუნდაც, ორკაციანი „კომისია“ მაინც გამოეყო საქმის გასარჩევად, ასეთ ფარატინა ქაღალდს როგორ მოაწერა ხელი ასეთი დიდი თანამდებობის პირმა? ჯერ ის მაინც გაერკვიათ ვის ჰქონდა უფლება ისტორიულ ძეგლზე თავიანთი გვარ-სახელები ამოეკვეთათ და თან, ნირი და შინაარსი შეეცვალათ ისტორიისთვის?

...ჯვარელები ფარ-ხმალს მაინც არ ყრიან, ბატონო ნიკოლოზ! მათი ინიციატივითა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერით, უკვე შეიქმნა ავტორიტეტული კომისია ცნობილ მეცნიერთა შემადგენლობით და დაიდო კომპეტენტური დასკვნა! გირჩევთ წაიკითხოთ იგი, რომლის მრავალგვერდიანი ტექსტი უკვე გამოაქვეყნა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“, მას ხელს აწერენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ქალბატონი ნანა ხაზარაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი შორენა ფხაკაძე, ხელოვნებათმცოდნე ელისო ჩოგოვაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯაბა სამუშია და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გონერი არახამია!

იმედია, ყურადღებით წაიკითხავთ იმათ დასკვნას.

ᲖᲐᲣᲠ ᲤᲘᲤᲘᲐ
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ

ᲢᲧᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔ

2012 ᲬᲚᲘᲡ 21 მარტიდან ტყის საერთაშორისო დღე ყოველ წელს აღინიშნება, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აღიარა. ამ დღის მიზანია ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში ტყეების მნიშვნელობის შესახებ. ქვეყნებს მოუწოდებენ, განახორციელონ ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება, როგორიცაა ხეების გამწვანების კამპანია.

ყოველ წელს 13 მილიონამდე ჰექტარი ტყე ნადგურდება მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც დაახლოებით ინგლისის ფართობის ტოლია. რაც მთავარია, ტყეები კრიტიკულ როლს ასრულებენ კლიმატის ცვლილებებში, რომლის შედეგიცაა გლობალური დათბობა.

დღეს ტყეები მთელი მსოფლიო მიწის 30%-ზე მეტ ნაწილს ფარავს და მოიცავს 60 000-ზე მეტ ხის ჯიშს, რომლიდანაც ბევრი ჯერ კიდევ შესასწავლია. მნიშვნელოვანია, რომ ტყე ამარაგებს მსოფლიო მოსახლეობის 1.6 მილიარდზე მეტ ხალხს საკვებით, წყლითა და მედიკამენტებით.

სწორედ ამიტომაც, მნიშვნელოვანია, მეტი დაინტერესება და ინფორმირება მოხდეს ხალხის ტყის მნიშვნელობის შესახებ, რათა ერთად გავუფრთხილდეთ გარემოს და ვიზრუნოთ მომავალი თაობებისთვის.

„მთავარი არსის“ მთავარი შანტაჟისტი

ღიმილისმომგვრელია გვარამიას ადეპტების ცულლუტობა, არასწორი ინფორმაციის გავრცელების გზით მათი პატრონის როლისა და მნიშვნელობის წარმოჩინების უსუსური მცდელობა – თითქოს პატრიარქთან შეხვედრა მისი უწმინდესობის ილია II-ის ინიციატივით მომხდარიყოს!



(მეორე გვერდიდან) თავისუფალი მედიის პრინციპის დაცვის ვალდებულება ნიკა გვარამიას ისედაც ჰქონდა, მაგრამ არ გახსენებია. პირიქით, მთელი წელი „რუსთავი-2“ და **გიორგი მამალაძის** სასულიერო თუ საერო ფსევდოდამცველები დეკანოზის ვითომდა დაცვის საფარქვეშ ეწეოდნენ ეკლესიის დისკრედიტაციას. ცდილობდნენ ეკლესიის შიგნით დაძაბულობის შექმნასა და ეკლესიასა და საზოგადოებას შორის გაუცხოების წარმოქმნას.

მიმდინარეობდა კონკრეტული იერარქებისა და მოძღვრების კომპრომეტირება, ეკლესიის შიგნით არსებული განსხვავებული მოსაზრებების დაპირისპირებამდე გამწვავების ინსპირაცია მეტი ინტრიგისა და დამაჯერებლობისთვის.

არ მორიდებიან იმასაც, რომ მათ მიერ უკანონოდ მოპოვებული და ნაწილ-ნაწილ მოწოდებული ფარული ჩანაწერები თუ დახურული სასამართლო პროცესის მასალები (საკითხავია, რომელი სახელმწიფო უწყება ამარაგებდა ამით?!) უარყოფით იმიჯს უქმნიდა თვითონ დეკანოზ მამალაძეს, რომლის დასაცავად თითქოსდა ირჯებოდნენ – ნამდვილი მიზანი ხომ მთლიანად ეკლესიის მიმართ მოსახლეობის პატივისცემისა და ნდობის შემცირება იყო!

რას მივაწეროთ **გვარამიას** ამჟამინდელი მეტამორფოზა: „გაკეთილშობილება“, „გავაუკაცება“ და, მით უმეტეს, ეკლესიის სიწმინდისა და სამართლიანობისთვის ბრძოლის“ ექსტაზით მისი აგზნება?!

რა მიზნები ამოძრავებს მას და მის ფარულ დამკვეთებს?!

ღიმილისმომგვრელია **გვარამიას** ადეპტების ცულლუტობა, არასწორი ინფორმაციის გავრცელების გზით მათი პატრონის როლისა და მნიშვნელობის წარმოჩინების უსუსური მცდელობა – თითქოს პატრიარქთან შეხვედრა მისი უწმინდესობის ილია II-ის ინიციატივით მომხდარიყოს!

მათ არც თავად გვარამია ჩამორჩენია: ეტყობა, ჩვენი გულის აჩუყეებას ელოდა, როცა გამოაცხადა, რომ თითქოს პატრიარქმა „რუსთავი-2“-ზე თქვა – „სიკეთეს აკეთებთ“. მაგრამ, როგორც თვითმხილველები ამბობენ, უწმინდესმა დამშვიდობებისას უსურვა – „სიკეთე აკეთეთ“. ამ ორ გამონათქვამს შორის განსხვავება ერთი ასოა. ასო რომ შინაარს მთლიანად ცვლის, გვარამიას კი მოეხსენება, მაგრამ, რა ქნას, თვითპიარი სისხლში აქვს გამჯდარი.

მთავარი კი ამ შეხვედრის შემდეგ ნიკა გვარამიას მიერ 17 მარტს გაკეთებული განცხადება გახლავთ. „კურიერის“ ეთერში მისი მხრიდან პატრიარქის მიმართ ხაზგასმით გამოხატული რევერანსებისა და სხვა მაღალი იერარქების აგდებული მოხსენიების შემდეგ გაიჟღერა ფრაზამ, რომელზეც მორწმუნე და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოებამ რეაგირება უნდა გააკეთოს.

„რუსთავი-2“-ს ეთერიდან ითქვა: „ან ის კანონიერად იქნება გათავისუფლებული, ან ჩვენ დავიწყებთ დეკანოზ მამალაძის მიერ მოკვლეული ინფორმაციის გასაჯაროებას“. ე.ი. ნიკა გვარამია აცხადებს, რომ თუ დეკანოზ მამალაძეს არ გაათავისუფლებთ, „რუსთავი-2“ დაიწყებს მამალაძის სახელით ეკლესიის წინააღმდეგ კომპრომატების გამოქვეყნებას!

თავხედური შანტაჟი ღია ეთერით!

თანამედროვედ ჩაცმული და გაკრეჭილი „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ რეანიმირებული სახე კვლავ უტევს საქართველოს ეკლესიას! ამ გადასახედიდან მისი წინაპრები უკეთესად გამოიყურებიან – ისინი გულწრფელები მაინც იყვნენ, არ ფარისევლობდნენ, მავზოლეუმში დასვენებულ კერპს ღიად ემსახურებოდნენ და ეკლესიის შვილად არ მოჰქონდათ თავი!

განათლებით იურისტმა გვარამიამ იცის, რომ სამართლებრივად, პატიმრის შეწყალების ან რაიმე სხვა ფორმით გათავისუფლების უფლება ეკლესიას არ აქვს. ისიც იცის, რომ მისი უფროსი საკაშვილი – აღარ არის პრეზიდენტი, მაშინ რა დიდ გულზეა?

გასაგები იქნებოდა, მას ულტიმატუმი ხელისუფლებისთვის რომ წაეყენებინა და ეკლესიასთან შეთანხმებით ემოქმედა, მაგრამ იგი საპატრიარქოს მიმართავს ულტიმატუმით. როგორ ჰგონია მას, რა შეუძლია დღეს საპატრიარქოს, რომელმაც არაერთხელ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ „ციანიდის საქმე“, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის დისკრედიტაციისთვის იქნა გამოყენებული?

დარწმუნებულები ვართ, რომ **ნიკა გვარამია გარკვეული ძალაუფლების მქონე პირებთან შეთანხმების გარეშე,** დამოუკიდებლად, ამას ვერ გაბედავდა!

მოვლენები ლოგიკურად მხოლოდ ორი სცენარით შეიძლება გაგრძელდეს – თუ მამალაძეს არ გაათავისუფლებენ, „თავისიანებზე ნაწყენი“ დეკანოზისა და მის „უკან მდგომი“ სასულიერო თუ საერო პირების სახელით, „სიმართლისთვის მებრძოლი“ „რუსთავი-2“ იძენს ახალ საბაბსა და მოტივაციას ეკლესიის წინააღმდეგ „ანტიკორუფციული“ ბრძოლისთვის. თუ მამალაძეს გაათავისუფლებენ, მაშინ იტყვიან, რომ გამოჩნდება ხელისუფლებასთან „კორუფციაში გარიგებული“ ეკლესიის „ბნელ“ და „დევნილ“ სასულიერო პირთა „უსპეტაკესი“ სახე.

გამოდის, ორივე შემთხვევაში ეკლესიის და, შესაბამისად, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის მორიგ მრავალსერიიან ტრაგიკომიკურ ფარსს უნდა ველოდოთ. ფაქტობრივად, ზუსტად იმას, რაზეც საპატრიარქოს 14 მარტის განცხადებაში იყო საუბარი: **„...აქამდე განხორციელებულმა ქმედებებმა ზოგიერთისთვის სასურველი შედეგი მაინც ვერ გამოიღო და ამიტომაც, ჩვენი ინფორმაციით, იგეგმება დისკრედიტაციის ახალი ტალღის აგორება და არ არის გამორიცხული, რომ ბინძური კამპანიის წარმოება განხორციელდეს უმაღლესი იერარქის მიმართაც და ამაში სასულიერო პირებიც იქნან გამოყენებული“.**

როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ საქართველოს ეკლესია და ჯანსაღი ეროვნული სპექტრი ისე დასუსტდა, რომ მსგავს შემოტევებზე რეაგირებას ვეღარ მოახდენენ!

მოვუწოდებთ სასულიერო პირთა და მრევლის ჯანსაღ ნაწილს, რომლებიც სიღრმისეულად აცნობიერებენ მდგომარეობას, ყველას, ვინც გულწრფელად განიცდის შექმნილ საგანგაშო ვითარებას, არ ჩავათრევინოთ თავი ამ ბინძურ ქმედებებში, მოვთოკოთ ემოციები, დავიცვათ დასაცავი და პასუხი მოვთხოვოთ მას, ვინც ამას იმსახურებს (მანამდე გავარკვიოთ რომელი რომელია!).

შევაერთოთ ჩვენი ძალისხმევა ათეულობით წლების განმავლობაში მებრძოლი ათეიზმისა და ბოლშევიზმის მიერ დატოვებული მეტასტაზებისგან გასათავისუფლებლად. შესაბამისი ფორმებით, ერთობლივი აქტიური, გააზრებული და თანმიმდევრული ნაბიჯებით ყველას გავუფანტოთ იმის ილუზია, რომ თითქოს და მას ძალუძს ისე მოექცეს საქართველოს ეკლესიას და ქართველ ხალხს, როგორც თავად მოესურვება და ამისთვის არავინ მოსთხოვს პასუხს.

მამუკა გიორგაძე,
სახალხო პარტია
თბილისი 18.03.2018

შემაშფოთებელი პროგნოზი

„კავკასიაში შეიძლება, ახალი ომი დაიწყოს: აზერბაიჯანი შეუტევს ყარაბაღს, მოსკოვი თბილისს „სამშვიდობო კონტინგენტის“ გატარებას მოსთხოვს, უარის შემთხვევაში კი, საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპირებას მოახდენს“

უკრაინულ პოპულარულ გამოცემა „ОБОЗРЕВАТЕЛЬ“-ში გამოქვეყნდა ცნობილი ებრაელი პოლიტოლოგისა და რელიგიური მოღვაწის აბრამ შმულევიჩის სტატია, რომელშიც გაანალიზებულია სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა. ავტორი სიტუაციის განვითარების გარკვეულ პროგნოზსაც აკეთებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს მასალის ძართულენოვან ვერსიას:

„აზერბაიჯანში 12-17 მარტს ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები ჩატარდა, რომლებშიც მონაწილეობდა 25 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე, 250 ტანკი, 1000-მდე საარტილერიო-სარაკეტო დანადგარი და 50-მდე თვითმფრინავი.

იმავდროულად, მსხვილი სამხედრო სწავლებები დაიწყო ჩრდილო კავკასიაში, რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქში. მანევრები მიმდინარეობს პოლიგონებზე, რომლებიც განლაგებულია ასტრახანის, ვოლგოგრადის, დონის როსტოვის ოლქებში, კრასნოდარის მხარეში, ადიღეში, დაღესტანში, ინგუშეთში, ჩრდილოეთ ოსეთში... აგრეთვე რუსეთის სამხედრო ბაზების დისლოკაციის ადგილებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. აზერბაიჯანისა და რუსეთის არმიების სინქრონული მოქმედება იმას მოწმობს, რომ ეს სამხედრო სწავლებები ჩვეულებრივი, გეგმური არ არის. ვარიანტები სხვადასხვა შეიძლება არსებობდეს. შესაძლოა, სწავლება მხოლოდ სწავლებად დარჩეს, მაგრამ არ შეიძლება სხვა სამხედრო სცენარის გამორიცხვაც. ვთქვათ, ასეთის:

აზერბაიჯანი შეუტევს ყარაბაღს. საბრძოლო მოქმედებები დაიწყება აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრის მთლიან პერიმეტრზე. რუსეთი მოითხოვს ომის შეწყვეტას და რუსული სამშვიდობო ძალების მთიან ყარაბაღში შეყვანას. მოსკოვი თბილისს მოსთხოვს სასწრაფოდ გაატაროს თავის ტერიტორიაზე „რუსული სამშვიდობო კონტინგენტი“. უარის შემთხვევაში, იწყება ოპერაცია ტრანზიტის იძულების მიზნით. საქართველო გინდაც დათანხმდეს, ან სულაც რომ არ დათანხმდეს, შედეგი მაინც ერთია – ქვეყნის მთელი ტერიტორიის რბილი ოკუპაცია. რაც შეეხება აზერბაიჯანს: ბაქო მიიღებს იმ ტერიტორიებს, რომლებსაც შეტევის დასაწყისში დაიკავებს. თუ დაკავებული მიწები არასაკმარისი აღმოჩნდება, მაშინ „რუსი მშვიდობისმყოფლები“ სომხებს გაყრიან და „გათავისუფლებულ ტერიტორიას“ აზერბაიჯანს გადასცემენ.

რა თქმა უნდა, ამ პროგნოზს ალარმისტული (შემაშფოთებელ-პანიკური) ხასიათი აქვს, მაგრამ რუსეთის მოქმედების გამოცდილება გვასწავლის, რომ აბსოლუტურად ყველაფერია მოსალოდნელი: ყველაზე უკიდურესი პროგნოზიც კი შეიძლება ახდეს, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (EWHIP-4)
კრედიტი/სესხი IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის No.: P148048
დავალების სახელწოდება: „საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის მიმოხილვის განახლება"
კონტრაქტი/ RFP No: EWHIP-4/CS/CQS-09

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის (EWHIP-4). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კომპანიებს (შემდგომში "კონსულტანტები") ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად:

„საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის მიმოხილვის განახლება"

დავალების მიზანია:

1) შეფასდეს ადგილობრივი კონტრაქტორების განვითარებისთვის 2013 წლის კვლევის რეკომენდაციების განხორციელების შედეგად მიღებული ზეგავლენა და პროგრესი. აღნიშნული ასევე მოიცავს ადილობრივი კონტრაქტორების შეფასებას ბაზარზე;
2) გაზარდოს ადილობრივი კონტრაქტორების ჩართულობა საქართველოს გზების მშენებლობის, რეაბილიტაციის და მოვლა-შენახვის სამუშაოებში ძირითადი შემაფერხებელი გარემოებების იდენტიფიცირებით და საქართველოს მთავრობისთვის რეკომენდაციების შემუშავებით, რაც მიმართული იქნება ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მეტად მოსახარხებელი გარემოს შესაქმნელად;
3) გაზარდოს ადგილობრივი კონტრაქტორების კომერციული ცნობიერება სპეციფიურ ფინანსურ და ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას ახალ საპილოტე კონტრაქტებში.

დამატებითი ინფორმაცია დავალების შესახებ იხილეთ ტექნიკურ დავალებაში შემდეგ ბმულზე: https://www.dropbox.com/s/ap9ctq49ae0m4vv/TOR_%20Georgia%20Construction%20Industry%20Study%20_D4.docx?dl=0

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს:

- კომპანიის კორპორატიული პროფაილი;
- კომპანიის გამოცდილება განხორციელებული პროექტის შესახებ დავალების მიმართებაში (წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია შემდეგ ბმულზე: http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057);
- კომპანიის პერსონალის შესახებ ზოგადი ინფორმაცია.

მოკლე სიაში შეყვანის კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება;
- სპეციფიური გამოცდილება: მსგავსი განხორციელებული დავალებები (სამშენებლო ინდუსტრიის მიმოხილვაში/შეფასებაში) ბოლო 5 წლის განმავლობაში (დასრულებული 2013 წელს ან/და მას შემდეგ).

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 5.5 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" 2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში („კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ *(გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე).* ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს.

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რომლის გვერდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე (CQS) შერჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდვური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე **არაუგვიანეს 2018 წლის 5 აპრილის 17:00 საათისა.**

სახელი: ნუგზარ გასვიანი
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი 0160, საქართველო
ელ.ფოსტა: info@georoad.ge
ვებ–გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Fourth East West Highway Improvement Project (EWHIP-4)
Credit / Loan No. IDA 5245-GE; IBRD-8263-GE
Project No. P130413
Assignment Title: Georgia Construction Industry Review Update
Contract/RFP No: EWHIP-4/CS/QCS-09

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Fourth East West Highway Improvement Project (EWHIP-4) and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed with the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible companies (here and after "Consultants") to express their interest in providing the following services: **"Georgia Construction Industry Review Update".**

The objectives of this assignment are:
(i) To assess the progress and impacts of the implementation of the recommendations provided in the 2013 Study on the development of local contractors. This will include assessment of local contractors in the market;
(ii) To increase the involvement of local contractors in the construction, rehabilitation and maintenance of roads in Georgia through identifying key constraints and developing recommendations for the GOG to strengthen the capacity of and create a more enabling environment for the local industry;
(iii) To increase commercial awareness of local contractors in specific financial and business management areas which will equip them better to engage in new pilot contracts.

More details about the scope of the assignments please find in the Terms of Reference on the following link: https://www.dropbox.com/s/ap9ctq49ae0m4vv/TOR_%20Georgia%20Construction%20Industry%20Study%20_D4.docx?dl=0

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to:

- Corporate profile;
- Experience relevant to the project activities (should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department's website on the following link: http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057);
- Company's general staff capacities.

The shortlisting criteria are:

- General experience of Consultant;
- Specific experience: Experience in similar assignments (i.e. Construction Industry reviews/assessments) within the last 5 years (assignments completed in and/or after 2013).

Estimated duration of assignment is 5.5 months

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association *(Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)* to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company.

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 10 pages.

The Consultant will be selected under **Selection Based on Consultant's Qualification (CQS)** method set out in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below **not later than April 5, 2018, 17:00 hours.**

Name: Nugzar Gasviani
Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

ღირსების პროექტი

საერო თუ რელიგიურ პრობლემათა სიუხვის მიუხედავად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ამ დღეებში გამონახა დრო და საკუთარ რეზიდენციაში „არგენტინის სახლი საქართველოში“ თავმჯდომარეს ნიკოლოზ პატარქალიშვილს უმასპინძლა.

უკვე არაერთხელ გაუწყეთ, რომ წლეულს შემოდგომაზე აღნიშნული საერთაშორისო ასოციაცია თბილისში აპირებს, მოაწყოს ლეგენდარული ფეხბურთელების – მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების (არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი) ახალგაზრდულ ნაკრებთა მონაწილეობით, რომელსაც იდეაში თვით ფეხბურთის მეფე პელე უნდა დაესწროს.

ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა დალოცა საშვილიშვილო პროექტი და ყურადღება გაამახვილა მოზარდი თაობის სულიერი და ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობაზე, რაშიც ღირსეული წვლილის შეტანა სწორედ მომავალ მემორიალს შეუძლია.

არანაკლებ საგულისხმოდ გვესახება უწმინდესის ქორეპისკოპოსის, მიტროპოლიტ თეოდორე ჭუაძის ხელმოწერით დედაქალაქის მერ კახი კალაძისადმი გაგზავნილი წერილის შინაარსი, რომელშიც ხაზგასმულია საქართველოსა და მერკოსურის სახელმწიფოებს შორის არამარტო სპორტულ, არამედ კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობათა, უპირველესად – სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულებით, პერსპექტიულობა.

ვიმედოვნებთ, ერისა და ბერის ერთიანი ძალისხმევით წარმატებით მოგვარდება პრესტიჟული ჩანაფიქრის საორგანიზაციო საკითხები, ჩვენ კი სისტემატურად ჩაგაყენებთ საქმის კურსში.

ახლოა შემოდგომამდე!

გია პლატონიშვილი



ერისა და ბერის ძალისხმევით

შეხვედრა არგენტინის რესპუბლიკის ელჩთან ხუან ლუის ტეტამანტისთან



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი

0105, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: (+995 32) 98 27 08;

VICAR OF
CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

#1 KING EREKLE II SQ. TBILISI 0105ON ,
TEL:(+995 32) 98 27 08

N77 20 მარტი, 2018 წ

ქ. თბილისის მერს,
ბატონ კახი კალაძეს

ბატონო კახი,

მოგესალმებით პატივისცემით და გაცნობებთ, რომ საერთაშორისო ასოციაციის „არგენტინის სახლი საქართველოში“ თავმჯდომარემ, ბატონმა ნიკოლოზ პატარქალიშვილმა მის უწმიდესობას გააცნო პროექტი ცნობილი ფეხბურთელების, - მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის შესახებ, რომელიც იგეგმება ა.წ. შემოდგომაზე; ამავე დროს მას მიზნად აქვს გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რათა საქართველოსა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის დაიწყოს და განვითარდეს როგორც სპორტული, ისე კულტურული, ეკონომიკური ურთიერთობა, პირველ რიგში კი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულებით.

ჩვენის აზრით ეს ყოველივე მეტად მნიშვნელოვანია და საჭირო.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაგეგმილია თბილისში და სხვა ქალაქებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საფეხბურთო სკოლების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელი ახალგაზრდობის აღზრდასაც. თუ რაიმე პრობლემა არ არის, ვფიქრობთ აღნიშნული პროექტის განხორციელება და ამაში თქვენი აქტიური ჩართულობა მრავალმხრივი სიკეთის მომტანი იქნება ქვეყნისათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

პატივისცემით,

+ თეოდორე

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი

მიტროპოლიტი თეოდორე
(ჭუაძე)

◎ ლეგიონერი

ამჯერად მოგებით დაფასდა

მაიკლ დიქსონმა თურქეთის მეორე ლიგის ერთ-ერთ ლიდერ „სელჩუკლუ ბელეიდესისთან“ წინა ტურში 18 ქულა ჩააგდო, მაგრამ მისი გუნდი მძაფრ ბრძოლაში 85:87 დამარცხდა. საქართველოს ნაკრების ამერიკელმა წევრმა გასულ ტურშიც 18 ქულა ჩაუგდო მეორე ბობოლა „ბურსასფორსაც“, თუმცა, ამჯერად მისმა „ბაჰჩეშეჰირმა“ არანაკლებ თრილერში 71:68 იმარჯვა.

დიქსონი ტრადიციისამებრ სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 36 წუთში 18 ქულა, 4 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. მაიკლმა 7-დან 4 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

„ბაჰჩეშეჰირს“ 17 მოგება და 11 მარცხი აქვს და მე-6 ადგილზე იმყოფება, მომდევნო შეხვედრას კი 24 მარტს, სტუმრად, „ტურკ ტელეკომთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კერპი

რონალდინიო – პოლიტიკაში...

ბევრი ადამიანის კერპი 38 წლისა გახდა. ამ კაცმა რამდენიმე წლის განმავლობაში მოაჯადოვა გულშემატკივრები, არაამქვეყნიურ ფეხბურთს თამაშობდა და ესთეტიური თვალსაზრისით მართლაც ძალიან ძლიერი იყო.

გუშინ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომელიც მის არასაფეხბურთო ამბავს ეხება. თურმე, ნუ იტყვით, რონალდინიო ბრაზილიის რესპუბლიკურ პარტიაში შევიდა და, დიდი ალბათობით, წლეულსვე მოკალათდება ქვეყნის სენატში.

ისე, რონალდინიო და პოლიტიკა როგორი წარმოსადგენია? პოლიტიკა კი არა, ფეხბურთის გარდა ნებისმიერი სხვა სფეროც რაღაც შეუფერებლად გვეჩვენება. რონალდინიო ხომ თვითონ ფეხბურთია?!

გიორგი ზოთაძე

სიცოცხლე ხსოვნაში

ჩვენი რუსლანი

უკვე მეორე წელიწადია, კედლიდან გადმოგვცქერის ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი ბურჯი ჟურნალისტი, დაუვიწყარი რუსლან რუსია, რომლის ნაკალმარიც დღესაც ახსოვს და კვლავაც ეხსომება მკითხველს.

დღეს იგი 67 წლისა გახდებოდა. ის მხოლოდ ფიზიკურად არ არის რედაქციაში, სულიერად კი მარად ჩვენთან იქნება.

ძვირფასო რუსლან, შენი ლამაზი სახე და თვალსაჩინო ნამოღვაწარი მუდამ დარჩება ჩვენს შთაგონებად ჩვენი ასი წლის გაზეთის მიერ კეთილი საქმეებისთვის ბრძოლაში.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ყოფილი ცოლი დაზარალებულად ცნეს, მისი ყოფილი ქმარი კი პასუხისგებაშია მიცემული

ყოფილი **პროკურორი მილენა მითაიშვილი, რომელიც ყოფილ ქმარს ძალადობაში ადანაშაულებდა, პროკურატურამ დაზარალებულად ცნო.** მითაიშვილის ყოფილი ქმარი რივერა ბენდელიანი პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა და ვინაიდან ის საქართველოში არ იმყოფება, მისი დაკავების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა.

რუსთავში აირით სამი ადამიანი მოიწამლა

რუსთავში ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ბუნებრივი აირით სამი ადამიანი მოიწამლა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ სამივე მათგანი კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა.

არსებული ცნობით, ინტოქსიკაციის მიზეზი ტექნიკური ნორმების დარღვევით დამონტაჟებული წყლის გამათბობელი გახდა.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთის დასასვენებელი სახლის (უძრავ-მოძრავი ქონების) 25%-ანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის საკუთრებაში არსებული 10 ერთეული მიწის ნაკვეთის (დუშთის რ-ნი) საწყისი გასაყიდი ფასის 50%-ანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის საკუთრებაში არსებული, ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი №5–ში მდებარე ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე არსებული 100კვ არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: №66.45.13.032), იჯარის ფორმით (დროებით სასყიდლიან სარგებლობაში) გადაცემის მიზნით.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის ბალანსზე რიცხული 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით.

უმკურნალე საკუთარ თავს!

ადრეული **გაზაფხული, შემოდგომასთან და ზამთართან ერთად, „გაცივების სეზონი“ რომ არის, ყველამ ვიცით. მწვავე რესპირატორული დაავადებებისგან თავის დაცვას მიზეზთა გამო თუ ვერ შეძლებთ, მაშინ იქნებ ავადმყოფობის პერიოდის შემცირება შეძლოთ, რისთვისაც მედიკოსთა რამდენიმე საგულისხმო რჩევა დაგეხმარებათ.**

იმისათვის, რომ ავადმყოფობამ რაც შეიძლება იოლად ჩაიაროს და შვიდ დღეზე ნაკლებ დრომდე შემცირდეს, მეტად მნიშვნელოვანია გაცივების პირველ ორ დღეში ვირუსული შეტევის შესუსტება. ეს გართულებებისთვის თავის არიდებაში დაგეხმარებათ: რაც უფრო დროულად შეუტევთ ვირუსებს, მით უკეთესი.

თავდაპირველად მნიშვნელოვანია გრიპით დაავადების ალბათობის გამორიცხვა, რადგანაც ამ შემთხვევაში საჭიროა ვირუსების საწინააღმდეგო პრეპარატების მიღება, **მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების** (მრვი) დროს კი — არა.

თუკი ტემპერატურა 37,5 გრადუსის ნიშნულზეა, ანუ ძალიან მაღალი არ არის, არ გაციებთ, თავი სუსტად გტკივათ, კუნთები და სახსრები არ გტეხავთ, ეს გრიპი ნამდვილად არ არის — კლასიკური გრიპის დროს ამ სიმპტომების გამოხატვა მატულობს, თანაც, ავადმყოფობის პირველსავე დღიდან ცხვირი თუ გაჭედილი გაქვთ, ყელი კი გიხიცინებთ, ეს **მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციაა**, რადგან გრიპის დროს ეს სიმპტომები ავადმყოფობის მეორე-მესამე დღეს იჩენს თავს.

საიმისოდ, რომ ვირუსების შეტევას თქვენი იმუნიტეტი სრულფასოვნად დახვდეს, საჭიროა მისი დახმარება. დამტკიცებულია, რომ **სითბო მას ააქტიურებს, სიცივე კი — ასუსტებს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, თბილად გქონდეთ ყელი, კისერი და ფეხები**. ამიტომ შემდეგი რამ უნდა გააკეთოთ:

— დალიოთ მხოლოდ თბილი სასმელი. დაძინებამდე — რძე თაფლით, ლეღვით, სოდით ან ნაღების კარაქით, დანარჩენ დროს — ჩაი ლიმნით, ან თბილ წყალში გახსნილი მჟავე, კენკრის მურაბით. სითხე რაც შეიძლება მეტი უნდა მიიღოთ;

— ღამე საჭიროა ფეხებზე ცხელი აბაზანა, რის შემდეგაც ერთი-ორი ზომით დიდი შალის წინდა უნდა ჩაიცვათ, სასურველია შიგ მდოგვის ფხვნილიც ჩაყაროთ;

— დღისით ყელზე უმჯობესია, ნატურალური შალი მოიხვიოთ;

— როცა სიცხე არ გაქვთ, დღის განმავლობაში ცხვირზე ცხელი მარილიანი ან წიწიბურიანი პარკები მიიდეთ;

სიცხის დასაწევად არსებობს ოთხი ძირითადი პრეპარატი — **ასპირინი, იბუპროფენი, ანალგინი და პარაცეტამოლი**. სხვადასხვა მწარმოებელი მათ სხვადასხვა სახელით ყიდის, მაგრამ ერთმანეთისგან ისინი, ფაქტობრივად, არ განსხვავდებიან. მთავარია, ისინი მხოლოდ მაშინ მიიღოთ, როცა მაღალ სიცხეს ვერ უძლებთ. ამდენად, გაცივების მთელ პერიოდში მათი დალევა სულ 4-5-ჯერ მოგიწევთ.

სურდოს კარგად კურნავს უბრალო მარილხსნარი, ეს უვნებელი, მაგრამ ნაკლებად კომფორტული ხერხია. ამიტომაც ექიმები წვეთების ან ადრენალინისმაგვარი სპრეების გამოყენებას გვირჩევენ, რაც ცხვირში „საცობებს“ მალე შლის, თუმცა ასევე ადვილადაა შესაძლებელი, გახდეთ მასზე დამოკიდებული. ამიტომაც სპრეები მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენოთ, როცა ცხვირი ძალიან გაქვთ გაჭედილი.

გაცივების დროს გახსოვდეთ:

— ოთახში ჰაერი მშრალი არ უნდა იყოს, რადგან სასუნთქი გზების ლორწოვან გარსს აშრობს და ამით ანთებას აძლიერებს;

— ჰაერი „დანამეთ“, განსაკუთრებით ღამით, რისთვისაც შეგიძლიათ, გამათბობლის წინ სველი ტილოები დააწყოთ, რომლებიც გაშრობისთანავე უნდა ცვალოთ, საძინებელში კი დადგით ტაშტი წყლით;

— ოთახი რეგულარულად გაანიავეთ, რა დროსაც ავადმყოფი სხვა ოთახში გაიყვანეთ, ანდა მეორე საბანი დააფარეთ, თან ორპირს მოარიდეთ;

— მოერიდეთ მარილიანი საკვების ჭამას, რადგან მარილი ორგანიზმში სითხეს აკავებს, რაც იმუნურ სისტემას ასუსტებს.

ლალი ხუნდაძე

ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ხელვაჩაურის **რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ორი პირის მიმართ ჩადენილ ძალადობაში რ.ზ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით და 126-ე მუხლის 11 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.**

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 30 ივნისს, ქ. ბათუმში, ტაოს ქუჩის მიმდებარედ გზის სავალ ნაწილზე, რ.ზ.-მ პირადი უთანხმოების საფუძველზე დაწყებული კონფლიქტისას, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ნ.ზ.-ს და რ.ზ.-ს, ხოლო გასაშველებლად მისულ ბ.ა.-ს, განზრახ მოკვლის მიზნით, დანით გულმკერდის არეში მიაყენა ჭრილობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შედეგად დაზარალებული ბ.ა. სიკვდილს გადაურჩა.

მსახიობ გიორგი გიორგანაშვილის, იგივე „ბახალას“, სასამართლო პროცესი თბილისის საapელაციო სასამართლოში 10 აპრილს, 15:00 საათზე გაიმართება. აღნიშნული ინფორმაცია, „ჯი-ეიჩ-ენს“ გიორგანაშვილის ადვოკატმა გიორგი მახარაძემ მიაწოდა.

მან სააპელაციოში თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გაასაჩივრა, რომლის მიხედვითაც, „ბახალას“ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესჯა.

მკვლელობა ამირეჯიბის ქუჩაზე

ჟაბუა ამირეჯიბის ქუჩაზე მოკლული ბიზნესმენის ნუგზარ კახიძის ახლობლები მომხდარის დეტალებზე საუბრობენ და ეჭვი აქვთ, რომ მკვლელობა შეკვეთილია.

როგორც ახლობლები ყვებიან, ბიზნესმენი ნუგზარ კახიძე საკუთარ სახლში მოკლეს. მათივე ინფორმაციით, დაახლოებით 30 წლამდე ასაკის მამაკაცი დღის პირველ ნახევარში ბიზნესმენის სახლში მივიდა და თქვა, რომ ბანკიდან იყო მისთვის წერილის გადასაცემად. მათივე ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც დამხმარე ქალმა კარი გააღო, მამაკაცმა სროლა დაიწყო.

ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, დაჭრილია დამხმარე ქალიც. შემთხვევის ადგილზე მუშაობენ ექსპერტ-კრიმინალისტები.

◎ გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა!

პოლტერგეისტის მხარე

მსგავსი განცხადება არა თუ ტომსკელ, არამედ, საერთოდაც, ალბათ, მსოფლიოს სხვა ქალაქების პოლიციელებსაც თითზე ჩამოსათვლელად თუ ექნებათ მიღებული.

ციმბირულ სოფელ მარაკსში მცხოვრებმა ჟუკოვების ოჯახმა, ტომსკის პოლიციაში საჩივარი შეიტანა, რომელშიც... პოლტერგეისტისგან დაცვას ითხოვდა(!). ცოლ-ქმარი ირწმუნებოდა, რომ რამდენიმე ხანია მათ სახლში რაღაც საშინელება ხდება – ჭურჭელი და პატარ-პატარა

სხვადასხვა ნივთები ჰაერში „თავისით“ დაფრინავს, ავეჯი იატაკზე ისე ვარდება, ხელს რომ არავინ ახლებს და ა.შ.

საჩივრის შესამოწმებლად შემთხვევის ადგილზე პოლიციის თანამშრომელი ჩავიდა, რომლის პატაკში ხაზგასმით ეწერა:

„სახლის დათვალიერებისას დავადგინე, რომ იქაურობა ერთიანად არეული იყო: ნივთები, წიგნები, ავეჯი, ჭურჭელი იატაკზე ეყარა, სამზარეულოს კედელში დანა იყო ჩარჭობილი. ჩემი იქ ყოფნის დროს იატაკზე კარადა სწორედ იმ დროს დაეცა, როცა ოთახში არავინ იმყოფებოდა, ამის შემდეგ თაროდან წიგნები ჩამოცვივდა. ყოველივე აღნიშნულს რაციონალური ახსნა ვერ მოეძებნა“.

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს არ არის ჟუკოვსკების ოჯახში პოლტერგეისტის პირველი გამოვლინება: ანალოგიური განცხადებით პოლიციისთვის ცოლ-ქმარს ერთი წლის წინათაც მიუმართავს. ეს უაღრესად უცნაური შემთხვევაა, რომელსაც იდუმალებას ის გარემოებაც მატებს, რომ სოფლის ადმინისტრაციაც და მეზობლებიც ჟუკოვების ოჯახს უაღრესად დადებითად ახასიათებენ.

დაბნეულმა სამართალდამცველებმა „საეჭვო“ სახლში ღვთისმსახურთა მიყვანა და იქაურობის კურთხევა გადაწყვიტეს. განწმენდის რიტუალის ჩატარების შემდეგ პოლტერგეისტი ცოტა ხნით გაჩერდა, მაგრამ შემდეგ ისევ ძველი „ოინების“ ჩადენა განაგრძო.

ადგილობრივი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ტომსკში „მოლაპარაკე“ პოლტერგეისტიც კი ბობოქრობდა, რომელსაც ფოთიმა შეარქვეს. მაშინ „ბარაბაშკა“ დაბა სვეტლიში მცხოვრებ კილიაკოვების ოჯახს შეუჩნდა, მაგრამ მეზობლის გარდაცვალების შემდეგ, რომლის სახელითაც ის „ქადაგებდა“, ყველაფერ უმსგავსობას ბოლო მოეღო.

ნინო ალექსანდრია

იცით თუ არა, რომ...

● ზურგის ქრონიკულ ტკივილს ავადმყოფის თავის ტვინის 10 პროცენტით შემცირება შეუძლია?



● ძველ რომში საზოგადოებრივი აბანოთა კომპლექსი – კარაკალას თერმები – 20 ათასზე მეტ კაცზე იყო გათვლილი და 11 ჰექტარზე იყო გაშენებული?

● სისხლის დონორებში ინფარქტის საფრთხე 88 პროცენტით ნაკლებია იმათთან შედარებით, ვისაც სისხლი მხოლოდ ერთხელ აქვს გაცემული ანდა, სულაც, არც არასდროს ჩაუბარებია?

● ზრდასრული ადამიანის ორგანიზმი, საშუალოდ, 5,5 ლიტრ სისხლს შეიცავს და ერთ ჯერზე დონორისგან მხოლოდ 350-450 მილილიტრს იღებენ?

● აუტიზმი – ესაა თავის ტვინის განვითარების დარღვევით გამოწვეული დაავადება, რომელიც გარე სამყაროსგან გაუცხოებით, ემოციების გამოხატვის უფერულობით, მწირი ინტერესებით და გამეორებადი მოქმედებებით ვლინდება, რომლითაც სადღეისოდ მსოფლიოში 67 მილიონი კაცია დაავადებული?

● გაყინული ხორცი და თევზი მაცივარში არასაყინულე განყოფილებაში, ან გარეთ, გრილ თეფშზე უნდა გაალღვოთ და არავითარ შემთხვევაში წყალში?

● ბოსტნეული ბნელ და გრილ ადგილას უნდა შეინახოთ?

● ასაკობრივ გონებასისუსტესთან, ალცჰეიმერის დაავადებასთან, ასევე გულის სისხლძარღვთა სნეულებასა და დღე-ღამეში 10 საათზე მეტი ხნის ძილს შორის კავშირი მეცნიერულადაა დადასტურებული?

● გასუქების ყველაზე სახიფათო სახეობაა, როცა ცხიმი შიდა ორგანოების გარშემო გროვდება, რის შედეგად წელი და მუცელი ეზრდებათ, ხოლო საფრთხის უტყუარი ინდიკატორია, თუკი მამაკაცის წელის გარშემოწერილობა 94, ხოლო ქალისა 80 სანტიმეტრს აღემატება?

● აბაზანაში 15 წუთზე მეტი წოლა სასურველი არ არის, ვინაიდან ამას, შესაძლოა, სისუსტე და თავბრუხვევა მოჰყვეს?

„მამაკაცური“ დიეტა

იმ მამაკაცებისთვის, ვინც ახლო მომავალში მამობას აპირებს, საგანგებო დიეტა შეიმუშავეს.

სპერმატოზოიდების ხარისხისა და მათ მიერ განაყოფიერების უნარის მომმატებელ მთავარ სურსათად მეცნიერები **ნიგოზს, თევზსა და ზღვის პროდუქტებს, ხილს, ბოსტნეულსა და მწვანილს** მიიჩნევენ.

სქესობრივ ფუნქციაზე უარყოფითად მოქმედებს და სპერმატოზოიდების განვითარებას ხელს უშლის ხორცი, რძე, ლუდი და სოიოს პროდუქტები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ცუდი სიტყვა

იასა შვიდი წლისაა. სკოლიდან მოვიდა და მამას უყვება:

— მამიკო, მარეკმა დღეს მასწავლებელს ცუდი სიტყვა აკადრა.

— ასეთი რა უთხრა?

— შენ ხომ ცუდი სიტყვების თქმას მიშლი, ამიტომ რაც იცი, ყველა ცუდი სიტყვა ჩამოთვალე და როცა საჭირო იქნება, შეგაჩერებ.

მომსახურების წინადადება

საბალეტო სკოლის დირექტორთან ხნიერი კაცი შევიდა:

— მე გამოცდილი მასაჟისტი ვარ, — უთხრა მან, — თვეში 10 ათასის საფასურად მზად ვარ, ყველა თქვენი ბალერინა დავზილო.

— დიდი სიამოვნებით, — დაყაბულდა დირექტორი, — თუკი მაგდენი თანხა თან გაქვთ, შეგიძლიათ, ეგ საქმე ახლავე დაიწყოთ.

ცვლილებები

ორი მეგობარი დიდი ხნის განშორების შემდეგ ერთმანეთს ხვდება და ერთი მეორეს ეკითხება:

— მითხარი, მეგობარო, ცხოვრებაში გაგიმართლა და ბოჟენა შეირთე თუ ისევ ძველებურად თვითონ იმზადებ სადილს?

— ხან ისე, ხან ასე! — მიუგო მეორემ.

პროფესიული ჩვევა

რესტორნებში ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ერთ დღესაც გარდაიცვალა ძველი ოფიციანტი. დაქვრივებულმა ცოლმა გადაწყვიტა სულების გამოხმობა და სპირიტუალური სეანსი მოაწყო. ბევრი კი ატრიალა ხელები მაგიდაზე, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა. გაბრაზებულმა ცოლმა ქმარს ხმამაღლა შეუძახა:

— რატომ არ მოდიხარ? დუმილი.

— რატომ არ მეხმაურები?! მაგიდა არც განძრეულა.

— ერთხელ მაინც შემეხმიანე!

უეცრად სიბნელეში წყნარი ხმა გაისმა:

— ეს ჩემი მაგიდა არ არის...

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4383; ევრო - 3.0018;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4209;
100 რუბლი - 4.2160; თურქული ლირა - 0.6177;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4359;
1000 სომხური დრამი - 5.0692.

ამინდი 22 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+18
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+18
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge